პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 201 (13286) | ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

# ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს

## ქუთაისელ ავტომშენებელთა მისაბაძი ინიციატივა

ქუთაისი. (საქ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წელს გადაჭრით გააძლიერა ბრძოლა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლებისა და საქარხნო მარკის ღირსებისათვის. ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის დავალება. სოციალისტური შეჯიბრების 1965 წლის მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მოიპოვა.

საავტომობილო ქარხნის კოლექტივი ამ დღეებში შესანიშნავი წამოწყების ინიციატორად გამოვიდა — რესპუბლიკაში პირველმა გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. გადასინჯეს და გამოიანგარიშეს საწარმოო რეზერვები და სახელოვანი თარიღის შესახვედრად ახალი, გადიდებული ვალდებულებები იკისრეს:

მიღწეულ დონესთან შედარებით 1965-1967 წლებში წარმოების მოცულობა გაადიდონ 24 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 12 პროცენტით;

სახალხო მეურნეობის გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 1965 წელსვე დაამთავრონ ავტოგამწე „კაზ-608"-ის და ნახევრადმისაბმელის „კაზ-717"-ის გამოცდისა და დაყენებითი სამუშაოები და დაიწყონ მათი სერიული გამოშვება;

1965-1967 წლებში კი „კაზ-608" მარკის ავტოგამწევისათვის აითვისონ ორსიჩქარიანი ხიდის წარმოება;

ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების მიზნით წელსვე დაამთავრონ საწნეხ-საძარე კორპუსის მშენებლობა 39 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით, წელსვე დაამთავრონ ჩედადი თუჯის სამქროს მშენებლობა რამდენიმე ათეული ათასი ტონის წლიური წარმადობით, აგრეთვე რუხი თუჯის სამსხმელო სამქროს რეკონსტრუქცია, 1966 წელს დაამთავრონ ქარხნის თბოტრასის, ხოლო 1967 წელს საინჟინრო კორპუსის მშენებლობა;

1965-1967 წლებში წარმოებამ დანერგოს 710 ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიება სულ მცირე 800 ათასი მანეთის ეკონომიით. წელსვე რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღონ 348 ათასი მანეთი პირობითი წლიური ეკონომია.

ქარხნის კოლექტივმა კონკრეტული ვალდებულებები იკისრა აგრეთვე კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, მოგებისა და რენტაბელობის ზრდის, კადრების მომზადების, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის გაფართოების, მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების კომუნისტური აღზრდის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დარგში.

ქართული ავტომობილის მშენებლებმა გადაწყვიტეს ფართოდ გააჩაღონ ბრძოლა კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოსაპოვებლად.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოწინავე ხაზზე

რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივი წარმატებით განაგრძობს სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლას.

წლის დასაწყისიდან აქ მრავალი მძლავრი ელმავალი გამოუშვეს. მათ შორის გეგმის ზედაჭარბებით დაამზადეს რამდენიმე ტიპის ელმავალი.

ელმავალმშენებლები ყოველთვის ახლის, პროგრესულის ძიებაში არიან. ეს ეხმარება მათ სისტემატურად ზარდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. მაგალითად, შვიდ თვეში შეძლეს 504 მანეთით შეემცირებინათ ერთი ელმავლის თვითღირებულება.

# მეცხოველეობის განვითარების მტკიცე საფუძველი

ზაფხული მიიწურა. სოფლის მეურნეობის მუშაკებს ბევრი გადაუდებელი საზრუნავი აქვთ. რესპუბლიკის მშრომელები თავდადებით შრომობენ შვიდწლედის სასახელოდ დამთავრებისათვის. თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. ფართო ფრონტით არის გაჩაღებული ლაშქრობა ორასი ათასი ტონა ჩაისათვის, ბაღებსა და ვენახებში უხვი მოსავლის ასაღებად.

მაგრამ ახლა დიდი სადღეისო საქმეა საზოგადოებრივ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. სწორედ ამაზეა დამოკიდებული მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდის გეგმების შესრულება. ამ დარგში კარგი შედეგები მაშინ გვექნება, როცა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები შემოქმედებითად გამოიყენებენ არსებულ რეზერვებს, უნარიანად მოაწყობენ ადამიანთა შრომას და მატერიალურად დააინტერესებენ მათ.

სოფლის მშრომელთა საბრძოლო ამოცანაა ყოველი დღე, ყოველი საათი გამოიყენონ ნათესი და ბუნებრივი ბალახების აღებაზე, სწრაფად დაამთავრონ თიბვა, თივის შეგროვება და დაზვინვა. საკვები ბაზის განმტკიცება ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მუშაკის მეტად პასუხსაგები, საერთო-სახალხო საქმეა.

წელს ჩვენს რესპუბლიკაში გეგმით გასათიბია (პირველი თიბვა) 209.202 ჰექტარი ნათესი და ბუნებრივი ბალახები. უკვე გათიბულია 194.783 ჰექტარზე მეტი. როგორც ვხედავთ, ეს სამუშაო დასასრულს უახლოვდება. სადაც თავიდანვე გამოიჩინეს ზრუნვა ამ საქმისათვის, იქ წარმატებაც არის. მაგალითად, სიღნაღის, საგარეჯოს, წითელწყაროს, გურჯაანის, თელავის, ახმეტის, წალკის, დუშეთის, თეთრი წყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში ბალახების თიბვის დავალება დიდი გადაჭარბებით შესრულდა.

მაგრამ ბალახების თიბვის ხელსაყრელი დღეები ბევრგან ხელიდან გაუშვეს და გეგმის შესრულება საფრთხეშია. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 20 აგვისტოს ცნობებით ბოგდანოვკის რაიონში გათიბულია 14.454 ჰექტარი ნათესი და ბუნებრივი ბალახები ნაცვლად 20.957 ჰექტარისა. ბორჯომელებმა გეგმით გათვალისწინებული 7.960 ჰექტარიდან გათიბეს 5.676 ჰექტარი. ლანჩხუთის რაიონში კი გათიბულია მხოლოდ 102 ჰექტარი ნაცვლად 2.766 ჰექტარისა.

შეიძლება ამ რაიონების ხელმძღვანელი ორგანოები ფიქრობენ, რომ დარჩენილ დღეებში მოასწრებენ ამ სამუშაოს გეგმის შესრულებას. ეს კი საეჭვოა! უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ზედმეტად გადამწიფებული ბალახი კარგ ყუათიან თივას ვერ მოგვცემს. ან სად არის იმის გარანტია, რომ ამინდები არ შეიცვლება?

სწორედ ამაზე არ დაფიქრებულან ცხინვალის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ქემერტის, კეხვის, ვანათის კოლმეურნეობებში თივის და, საერთოდ, საკვების დამზადება ჩაშლილია. როგორ ფიქრობენ ამ სოფლების მშრომელები პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებას? სანამ გვიან არ არის, ეს საკითხი ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებმა.

მართალია, რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათეულ ათასობით ჰექტარი სიმინდია დათესილი და უნდა ვივარაუდოთ, რომ აქედან შეივსება უხეში საკვების ბალანსი. მაგრამ ეს მხოლოდ იმედია. 20 აგვისტოს ცნობებით სულ დამზადებულია 303.527 ტონა უხეში საკვები. გეგმით კი დასამზადებელია 1.059.099 ტონა. არითმეტიკული გაანგარიშებაც კი ცხადყოფს, რომ თუ ახლავე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები უხეში საკვების დამზადების ტემპის გასაძლიერებლად, დავალების შესრულებას ვერ უზრუნველვყოფთ.

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სილოსს საკვებ რაციონში. იგი განსაკუთრებით აუცილებელია მეწველი ძროხებისათვის. წველადობის გადიდება ხარისხოვან სილოსზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული. აქაც ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დამზადებული სილოსი 87.300 ტონას შეადგენს, ეს გეგმის მხოლოდ 9,5 პროცენტია. საბჭოთა მეურნეობებში სილოსი დამზადებულია გეგმის 9,8 პროცენტი. მიუხედავად იმისა, რომ ათეულ ათასობით ჰექტარი სიმინდია დათესილი ნაწვერალზე, მაინც ეს ციფრები დამაფიქრებელია. ჯერ ერთი, დრო იწურება. ბალახების სილოსად გამოყენების საშუალება ხელიდან გვეცლება. ბალახი უკვე ბევრგან გადაბერების, გახმობის პირზეა. ეს კი არ გამოდგება სილოსად. ხოლო სიმინდი ყველგან საკმარისი როდი იქნება!

საკვების დამზადების ორგანიზაციაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა. მთავარი ის არის, რომ ყოველმხრივ დავეხმაროთ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს მომენტის თავისებურებათა გათვალისწინებით სწორად განაწილონ ძალები, ტექნიკური საშუალებანი, მეტი მომთხოვნელობა გამოიჩინონ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი. ამავე დროს იზრუნონ ადამიანებისათვის, რომლებიც საკვების დაგროვებაში მონაწილეობენ. მათ შეუქმნან კარგი საყოფაცხოვრებო პირობები, სწორად განახორციელონ საკვების დაგროვებაზე დაწესებული მატერიალური წახალისების ღონისძიებანი. ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე კომუნისტებმა უნდა გვიჩვენონ დამკვრელური მუშაობის მაგალითი, ყოველთვის უნდა იყონ წინა ხაზზე.

ასეთი მუშაობის არაერთი მაგალითი გვაქვს მთელ რიგ რაიონებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. საკვების დამზადებისათვის ბრძოლაში ორგანიზებულობას იჩენენ მარნეულის, წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, ქარელის და ზოგიერთი სხვა რაიონის მშრომელები, რომელთა ავანგარდში პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები დგანან. სიღნაღის რაიონში ნაწვერალზე დათესილია 5.500 ჰექტარზე მეტი სიმინდი. რაიონში უნდა დამზადდეს 70.000 ტონაზე მეტი სილოსი, უკვე დამზადებულია 25.000 ტონამდე. ქების ღირსნი არიან წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის საკვებმომპოვებლები. 650 ტონაზე მეტი თივა დაამზადეს ნაცვლად 450 ტონისა. დაზვინულია 2.800 ტონაზე მეტი ნამჯა, 3.000 ტონამდე სილოსი. წარმატებით განაგრძობენ ამ სამუშაოს მექანიზატორები ო. და ც. ყორიაშვილები, უ. კახიანი, დ. ჩუბინიძე, თივის მზვინავები ხ. გოგოლაშვილი, გ. ოზაშვილი და სხვები.

უნდა გვახსოვდეს, რომ საკვების დამზადებისათვის დიდი დრო როდია დარჩენილი. თიბვა, ისევე როგორც პურეულის მკა, დაძაბულ შრომას, ინიციატივას მოითხოვს. შრომის სწორი ორგანიზაცია, ტექნიკის მაღალი წარმადობით გამოყენება თიბვისა და დასილოსების წარმატებით დამთავრების საწინდარია. საჭიროა საკვების მარაგის შესავსებად ვთიბოთ ბალახი ტყის მდელოებზე, ხევებსა და ხრამებში, გზისპირა ზოლებზე. აქტიური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ყიზლარის საძოვრებზე. უნდა დავძლიოთ ჩამორჩენა თივის დამზადებაში. იალაღებზე წასულ პირუტყვს ყიზლარში უნდა დავახვედროთ კარგი სადგომები და საკმარისად ყუათიანი საკვები. ეს ძირითადად უზრუნველყოფს პირუტყვის უდანაკარგოდ გამოზამთრებას.

რესპუბლიკის მეცხოველეებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ საკვების მარაგის შევსების სხვა საშუალებებიც. მაგალითად, სულ მალე გაჩაღდება შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, საგვიანო ბოსტნეულის მოსავლის აღება. ეს კულტურები მოგვცემენ მწვანე ნარჩენის დიდ მასას და იგი სილოსად უნდა გამოვიყენოთ. აგრეთვე უნდა გამოვიყენოთ კვების, ქიმიური და ჰიდროლიზური მრეწველობის ნარჩენები. ამ გზით შეიძლება დავაკმაყოფილოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილება საკვებზე. საჭიროა ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად მეურნეობაში არსებული პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფასაც.

დრო არ ითმენს. მთელი ძალები უნდა დავრაზმოთ იმისათვის, რომ მეცხოველეობას შევუქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, „სასოფლტექნიკის" მუშაკებმა, სახელოვანმა მექანიზატორებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური მომთხოვნელობა, შეუპოვრობა, რათა სწრაფად დაამთავრონ თიბვა, დასილოსება და შექმნან თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის თვითეული ფერმისათვის, თვითეული სული პირუტყვისათვის საკვების მტკიცე მარაგი.

## დროს გაუსწრეს

რუსთავი. (საქ. კორ.). ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე და საგლინავი სამქროების კოლექტივებმა. მათ უკვე უპატაკეს სამშობლოს შვიდწლიანი გეგმის შესრულება. ახლა მებრძმედეები და მგლინავები მომავლის ანგარიშში იძლევიან რუსთავის მარკის მეტალურგიულ პროდუქციას.



თუ ზაფხულში თბილის-გორის გზატკეცილზე გაგივლიათ, არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მიიპყრო გზის მარჯვნივ და მარცხნივ ლარივით ჩამწკრივებულ ვენახებს, ბოსტნებს, ბაღებს. აქ კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სავარგულებია. მეურნეობაში შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო უხვ მოსავალს მოელიან.

სურათზე: ოკამის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის მოწინავე მკრეფავი ნ. ავლოხაშვილი, რომელიც დღეში 150 კილოგრამის ნაცვლად 200-250 კილოგრამ ვაშლს კრეფს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## გეგმის გადამეტებით

ტყიბული. (საქ. კორ.). ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში ერთი წუთითაც არ ნელდება მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთლისათვის ბრძოლის ტემპი. ძიროვნის მოწინავე კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. სოფრომაძე) ერთი თვის წინათ უპატაკა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება.

ამ დღეებში „მწვანე ოქროს" დამზადების წლიური გეგმების შესრულება უპატაკეს კისორეთის (თავმჯდომარე გ. დარახველიძე) და ახალსოფლის (თავმჯდომარე დ. ქათამაძე) კოლმეურნეობებმა. პირველმა მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 105,3 ტონა ფოთოლი, მეორემ კი 135 ტონა.

კისორეთელებმა გადაწყვიტეს წლიური გეგმის ზევით მოკრიფონ 28 ტონა „მწვანე ოქრო", ახალსოფლელებმა კი 35 ტონა.

## ამცირებენ თვითღირებულებას

თბილისი. ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც იბრძვის იმისათვის რომ ვადამდე, მაღალი მაჩვენებლებით შეასრულოს შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საწარმოო დავალება, შვიდი თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 126 ათასი მანეთის სხვადასხვა დასახელების მანქანები, ტუმბოები, ნაკადური ხაზები.

წლის დასაწყისიდან მანქანათმშენებლებმა სასაქონლო პროდუქციის გეგმა ასორტიმენტია სრული დაცვით 105,7 პროცენტით შეასრულეს.

შრომის სწორი ორგანიზაციით, მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვითა და რაციონალიზატორთა აქტიური მხარდაჭერით ქარხნის კოლექტივმა შეძლო შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6,1 პროცენტით გაეზარდა, რამაც გარკვეული ფინანსური შედეგი გამოიღო. წლის დასაწყისიდან პროდუქციის თვითღირებულება 2,8 პროცენტით რომ შეამცირეს, ორჯონიკიძელებმა მიიღეს 38 ათასი მანეთი ფულადი ეკონომია.

ახლა ქარხნის კოლექტივი ენერგიულად იბრძვის რვა თვის საწარმოო დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

## მაღაროელთა წარმატება

ჭიათურა. (საქ. კორ.). ახალი წარმატება მოიპოვა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა. 21 აგვისტოსათვის შეასრულა რვა თვის დავალება და სექტემბრის ანგარიშში ათასობით ტონა მადანი დაამზადა.

## მკა დასასრულს უახლოვდება

ახლა თავთავიანი მარცვლეული და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების აღების ფრონტმა თითქმის მთლიანად მთიან რაიონებში გადაინაცვლა. მკა მალე დამთავრდება. უკვე მომკილია მთელი ასაღები მოსავლის ოთხმოც პროცენტზე მეტი. ჯერ კიდევ დიდი ფართობი აქვს მოსამკელი ახალქალაქის რაიონს. გეგმით გათვალისწინებული 15.371 ჰექტარიდან აღებულია 2.000 ჰექტარამდე.

ბოგდანოვკის რაიონში 10.996 ჰექტარიდან მომკილია ათას ჰექტარზე მეტი. წალკის რაიონში გეგმით ასაღებია 8.586 ჰექტარი, მომკილია მხოლოდ პირველი ასობით ჰექტარი. თიანეთის რაიონის მხვნელ-მთესველებმა მომკეს 2.000 ჰექტარამდე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.208 ჰექტარისა. დმანისელებმა მოსავალი უნდა აიღონ 6.977 ჰექტარზე. მომკილია გეგმის 70 პროცენტამდე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომკილია 12.000 ჰექტარამდე. კიდევ ასაღებია 2.000 ჰექტარზე მეტი. ბორჯომელებმა მოსავალი აიღეს მესამედ ფართობზე.

## კალოთელ მეთამბაქოებთან

პატარა სოფელია კალოთა. ამ სოფლის კოლმეურნეობა ხულოს რაიონში მოწინავეა. აქ წამყვან დარგს მეთამბაქოობა წარმოადგენს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 18 ცენტნერი თამბაქო მიიღეს. წელს მეტი წარმატებისათვის იბრძვიან.

კარგი მოვლა-დამუშავების შედეგად თამბაქოს კარგი მოსავალია. კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ თამბაქოს შეტეხვა-ანემსვაზე. კოლმეურნეობას ეს კულტურა 7 ჰექტარზე აქვს. წინასწარი გაანგარიშებით საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერ თამბაქოს მოელიან. წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 15 ტონა თამბაქოს ნაცვლად 8 ტონისა.

მეტი თამბაქოსათვის გაშლილ შეჯიბრებაში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც გ. აბაშიძე ხელმძღვანელობს. ბრიგადამ უკვე შეტეხა და ანემსა 30.000 ზონარმეტრი თამბაქო. მოწინავე მეთამბაქოეებმა ნათელა და სონია მამულაძეებმა, სურიე ბათნიძემ, ნანული გამადაძემ შეტეხეს 2.800 ზონარმეტრი თამბაქო თვითეულმა.

კოლმეურნეობის მეთამბაქოეები ენერგიულად მუშაობენ თამბაქოს შეტეხვასა და ანემსვაზე. შემდეგ ფარდულებში აშრობენ და სახელმწიფოს ჩააბარებენ მაღალხარისხოვან თამბაქოს. კოლმეურნეობაში შეტეხილი და ანემსილია 70.000 ზონარმეტრზე მეტი თამბაქო.

ქ. ხალვაში.

## ათი გამარჯვებული

წყალტუბო. (საქ. კორ.). რაიონის მეჩაიეებმა გადაჭრით გააძლიერეს კრეფის ტემპი. გამოჩნდნენ ყველაზე მოწინავე კოლმეურნეობები, ბრიგადები, რგოლები და ცალკეული მეჩაიეები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ნედლეულის კრეფის წლიური გეგმები.

ათმა კოლმეურნეობამ უკვე უპატაკა წლიური დავალების შესრულება.

დიდი გამარჯვება მოიპოვა სოფელ რიონის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ზ. ტურაბელიძე). აქაურმა მეჩაიეებმა 360 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 350 ტონისა. დღემდე მოკრეფილი ნედლეულის 80 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

სოფელ სორმონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. მაღლაფერიძე) გეგმით გათვალისწინებული 240 ტონის ნაცვლად 256 ტონა ჩაი მოკრიფა. სორმონელებმა იკისრეს ვალდებულების ანგარიშში კიდევ 50 ტონა მოკრიფონ. სოფელ ზარათის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა 220 ტონა მოკრიფეს, რითაც წლიური დავალება 104 პროცენტით გაანაღდეს.

ჩაის კრეფის წლიური გეგმები გადამეტებით შეასრულეს საჩხერის, დღნორისის, მქვენის, დერჩის, ზედა მესხეთისა და ქვედა მესხეთის კოლმეურნეობებმა.

## თივის დამზადება

მთელ რიგ რაიონებში გადაჭარბებით შეასრულეს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვისა და თივის დამზადების გეგმები. საგარეჯოელებმა უკვე დაამზადეს 6.766 ტონა თივა ნაცვლად 5.625 ტონისა. გურჯაანის რაიონში დამზადებულია 4.333 ტონაზე მეტი თივა, ანუ გეგმა შესრულებულია 146,2 პროცენტით.

წითელწყაროელებს გეგმით უნდა დაემზადებინათ 6.406 ტონა თივა, დაამზადეს 6.900 ტონამდე.

## ა. მიქოიანმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა 25 აგვისტოს კრემლში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ვან ხოანი.

შეხვედრის დროს გაიმართა გულახდილი, მეგობრული საუბარი. (საქდესი).

## მიფრინავს „კოსმოსი-79"

### საქდესის ცნობა

1965 წლის 25 აგვისტოს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-79" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 90 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 359 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 211 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობის კუთხე — 64,9 გრადუსი.

სამეცნიერო აპარატურის გარდა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი აწარმოებს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

## ვიზიტი დამთავრდა

კიევი, 25 აგვისტო. (საქდესი). დღეს საბჭოთა კავშირიდან ფხენიანში გაემგზავრა ბრაზავილის კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ალფონს მასამბა-დება, რომელიც უკრაინაში იმყოფებოდა.

## ქათქათა ქაღალდი რვეულებს

ქაღალდის საწარმოები მილიონობით მოსწავლის რვეულს უშვებენ. ამ დიდ ნაკადში ჩინებულ პროდუქციასთან ერთად გამოდის მეორეხარისხოვანი პროდუქციაც.

ამჟამად ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ეს არ ხდებოდეს. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლის რვეულისა და მისი ქაღალდის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. მუშავდება ამ პროდუქციის დამზადების უფრო სრულყოფილი ტექნოლოგია. რვეულების უდიდესი მწარმოებლები — მოსკოვის გაერთიანება „ვოსხოდი" და ლენინგრადის ფაბრიკა „სვეტოჩი" მიიღებენ მხოლოდ № 1 საწერ ქაღალდს.

ყველა კომბინატი, რომლებიც სკოლების შეკვეთებს ასრულებენ, მიიღებენ ახალ დიდმწარმოებლურ მოწყობილობას. (საქდესის კორ.).

მოსკოვი.

## ჩვენი დიად სამშობლოში

# 1 სექტემბერს — ახალ სკოლებში

### სასიხარულო ცნობები

სულ მალე აწკრიალდება ზარი და სუფთა საკლასო ოთახებში ლამაზად შეღებილ მერხებს კვლავ მიუსხდებიან თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები (დირექტორი გ. მგალობლიშვილი).

გულმოდგინედ შრომობდნენ ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორის სამუშაოს მწარმოებელი ა. ჩუბინიძე და გ. ბასილაშვილის მღებავთა ბრიგადა. მათ ვადაზე ადრე — 12 აგვისტოსათვის დაამთავრეს სკოლის რემონტი, შეასრულეს 6.000 მანეთის სამუშაო.

თ. ჩიქოვანი.

ხაშურის რაიონის სოფელ წრომში სასიხარულო ამბავი მოხდა. აქამდე აქ რვაწლიანი სკოლა იყო. უფროსკლასელებს სხვა სოფელში უხდებოდათ სიარული სწავლის გასაგრძელებლად. ახალი სასწავლო წლიდან ეს სკოლა გადაკეთდა საშუალო სკოლად, რამაც წრომელ კოლმეურნეთა შორის დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

სკოლა მზად არის ახალი სასწავლო წლისათვის, შეკეთებული და გალამაზებულია მისი საკლასო ოთახები. სკოლა შევსებულია ინვენტარით, დაკომპლექტებულია პედაგოგთა კადრებით.

დ. ფარემუზოვი.

ცხინვალის რაიონის ძარწემის საშუალო სკოლის დირექციამ სწავლის დამთავრებისთანავე მოჰკიდა ხელი ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. სკოლას რემონტი გაუკეთდა. შეკეთდა სასკოლო ინვენტარი — მერხები, მაგიდები, სკამები.

სკოლის სახელოსნო ძირითადად გადაკეთდა. ამოიყვანეს ცემენტის ბურჯები, დაიდგა ხის და რკინის სახარატო, საბურღი, სალესი ჩარხები; შეიძინეს 700 მანეთის ღირებულების ახალი სასკოლო ინვენტარი.

ნ. გაბარაევი.

ავნევის საშუალო სკოლაში (ზნაურის რაიონი) გაცხოველებული შრომა ჩქეფდა. უფროსი კლასის მოსწავლეები მასწავლებელთა უშუალო ხელმძღვანელობით სკოლის რემონტს აკეთებდნენ. შრომაში ბევრმა დღემ გაიარა, და აი სამუშაო დასასრულს მიუახლოვდა...

ამჟამად ავნევის საშუალო სკოლაში ყველა სარემონტო სამუშაო მოთავებულია. შეთეთრდა კედლები, შეკეთდა მერხები, სკამები.

მ. ბეკოევი.

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ს. ებრალიძე) შეფობას უწევს ინგირის რვაწლიან სკოლას (სკოლის დირექტორი ნ. ესებუა). მისი დახმარებით დროულად შედგენილ იქნა სკოლის შენობისა და დგამ-ავეჯის რემონტის ხარჯთაღრიცხვა 5.670 მანეთის ოდენობით. მეურნეობის დირექციამ უყოყმანოდ გაიღო აღნიშნული თანხა და თავისივე მუშახელით დროულად დაამთავრა გათვალისწინებული სამუშაოები. სკოლა უზრუნველყოფილია კაბინეტებით, სასწავლო ხელსაწყოებით.

ბ. ალშიბაია.

კარგ საჩუქარს მიიღებენ პირველ სექტემბერს ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წყალაფორეთის მოსწავლე ახალგაზრდები, ისინი სწავლას სკოლის ახალ შენობაში დაიწყებენ.

წყალაფორეთში 8-წლიანი სკოლის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყო. ამ დღეებში შენობა მწყობრში ჩადგება. სკოლის ახალი შენობა ორსართულიანია, შედგება ოთხი ოთახისაგან. სკოლა ააშენა ჭიათურის სამშენებლო ტრესტის ზესტაფონის სამმართველომ. მშენებლობა 43 ათას მანეთი დაჯდა.

პ. ნებიერიძე.





ქალაქ ცხინვალის მშენებლებმა პირველი სექტემბრისათვის კარგ საჩუქარს უმზადებენ ჩოჩიევისა და კარლ მარქსის ქუჩების მიკრორაიონში მცხოვრებ ბავშვებს — მოსწავლეები კმაყოფილებით შევლენ ახალი სკოლის კეთილმოწყობილ, გაკრიალებულ კლასებში.

ახალი სასკოლო შენობა გათვალისწინებულია 660 მოსწავლისათვის. იგი აშენებულია პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომითი მონაწილეობით, ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით. ნორჩ ნატურალისტთა წრეებისათვის გამოყოფილია 1,2 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

სურათებზე: ქ. ცხინვალის მეშვიდე საშუალო სკოლის ახალი შენობა (ქვემოთ); პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები (მარცხნიდან) ი. ღოგუზოვა, ლ. ოსტაევა და ა. ქოქოევა მუშაობენ საკლასო ოთახების დასუფთავებაზე (ზევით).

ტექსტი და ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# პარტიული ცხოვრება

## პარტიული ქრონიკა

### მდივნის სამუშაო ოთახი

[illegible] აბაშის რაიკომმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის სამუშაო ოთახი. იგი მოთავსებულია რაიკომის შენობაში და უზრუნველყოფილია პოლიტიკური ლიტერატურით, რუკებით, დიაგრამებით. ოთახში თვალსაჩინო ადგილას გაკრულია ამონაწერები სკკპ წესდებიდან და პროგრამიდან.

ამ ოთახში მოდიან პარტორგანიზაციების მდივნები. მათ რჩევა-დარიგებას აძლევენ და კონსულტაციას უწევენ მორიგეები — პარტიის რაიკომის მუშაკები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის სამუშაო ოთახში ხშირად ეწყობა ლექციები, მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე.

ივ. თოფურია.

### რაიკომის პლენუმზე

ბოგდანოვკა. (საკ. კორ.). გაიმართა პარტიის რაიკომის პლენუმი, რომლის დღის წესრიგში იდგა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტისა და სოფელ დიდი არაგიალის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მუშაობის ანგარიშები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ვ. სარქისიანი.

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა სოფელ დიდი არაგიალის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნის ა. სეირანიანის მოხსენება.

მოხსენებების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: უ. დუშუკიანმა (სოფელი სათხა), გ. ბიჩახჩიანმა (მილიციის რაიგანყოფილება), ვ. გომციანმა (სოფელი ეშტია), ვ. ჩივილდეევმა (სოფელი გორელოვკა), რ. კაროიანმა (სოფელი დიდი გონდურა), მ. აივაზიანმა (სოფელი პატარა ხანჩალი).

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი ვ. დურგარიანი.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

### საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

## სიახლეთა ორგანიზატორები

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრებმა ჩაის, საკონსერვო, ღვინის, ეთერზეთოვანთა, თამბაქოსა და სხვა საწარმოებში ბევრი ტექნიკური სიახლე დანერგეს, სპეციალისტებმა შექმნეს მთელი რიგი ახალი მანქანები, საზოგადოებრივი საკონსტრუქტორო ბიუროები და ეკონომიური ანალიზის ბიუროები.

უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საწარმოებმა მთლიანი პროდუქციის გამოშვება გაადიდეს 25 პროცენტით და მეტად. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას, რომელმაც არაერთი კონკურსი გამართა წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, მძიმე შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის შესახებ საუკეთესო წინადადებებისათვის. სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების წევრების რესპუბლიკურ თათბირებზე იხილავდნენ და სახავდნენ ღონისძიებებს, თუ როგორ გაედიდებინათ პროდუქციის ასორტიმენტი, გაეუმჯობესებინათ ხარისხი და შეემცირებინათ თვითღირებულება.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა თავის დადგენილებაში აღნიშნა ეს წარმატებანი და ამასთან ერთად შეეხო იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც არის რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორგანიზაციათა მუშაობაში. საქართველოს კვების საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, წარმოების ტექნოლოგიაში არის მთელი რიგი გადაუჭრელი საკითხები, ქარხნებში მთელი რიგი სამუშაოები ხელით სრულდება, საწარმოებში წლობით ჭიანურდება ძვირფასი, მათ შორის იმპორტული მოწყობილობის დადგმა. მეღვინეობაში მთლიანად ვერ იყენებენ სამაცივრო დანადგარებს და სხვ.

სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ორგანიზაციები საკმარისად არ იბრძვიან მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ვერ იჩენენ სიმტკიცეს საზოგადოების წევრების მიერ შემუშავებულ მნიშვნელოვან წინადადებათა დანერგვის საქმეში.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დასახა ღონისძიებანი საზოგადოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. (საქინფორმი).

---

საანგარიშო-საარჩევნო კრებები

# მეურნეობის ავ-კარგი

ეს მეურნეობა კოლხიდის ცენტრში, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. მისი ფართობები ალმასკლეთით აბაშა-ტეხურის შესართავთან იწყება და ტეხურა-რიონის შესართავამდე გრძელდება. მეურნეობას ამოშრობილ მიწებზე 1.300 ჰექტარი სავარგულები აქვს, აქედან ათვისებულ 720 ჰექტარზე გაშენებულია ციტრუსები, დაფნა, ხურმა, ფეიხოა, ვაზი, კაკალი, თუთა, თხილი, ბამბუკი. მასვე ეკუთვნის 15 ჰექტარი ბაღი, რომელშიც გაშენებულია თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი.

...იმ დღეს ცხაკაიას რაიონის ტეხურის საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება იყო დანიშნული. კრების დაწყებამდე კომუნისტებმა ჯგუფ-ჯგუფად მოეყარათ თავი და საუბრობდნენ. ერთ მოზრდილ ჯგუფს, რომლის უმრავლესობას ახალგაზრდა კომუნისტები შეადგენდნენ, 60 წლის მოწიფული კომუნისტი აკ. ხვითარია უმტკიცებდა:

— მე ამ მეურნეობაში მუშაობის 20 წლის სტაჟი მაქვს. ორი ათეული წლის წინათ აქ ჭაობები და ეკალ-ბარდები იყო, ეფიკლი „ნატორგ" კოლოფის, ბაყაყებისა და ტურების საბუდარს წარმოადგენდა. ძნელად წარმოსადგენი იყო საუკუნეობით დაჭაობებული და გაუვალი ფართობების ხალხის სამსახურში ჩაყენება.

მაგრამ მოვიდა საბჭოთა ადამიანი, ახმაურდა ბულდოზერები, სკრეპერები, სატუმბავი სადგურები, არხსაწრეტლები, ტრაქტორები. გაიჭრა სადრენაჟო არხები. მძლავრმა ტექნიკამ და შრომისმოყვარე ადამიანებმა გარდაქმნეს აქაურობა. ვისაც ახსოვს ამ მიდამოს წარსული, ახლა განცვიფრებაში მოდის.

კომუნისტთა მიერ ადრე დაწყებული საუბარი ახალი ძალით გაჩაღდა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

— წლობით ჩამორჩენილი მეურნეობა, — თქვა მომხსენებელმა, პარტბიუროს მდივანმა მ. კუკავამ, — პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტთა უშუალო ინიციატივით უკანასკნელ წლებში რენტაბელური გახდა. საკმარისია ითქვას, რომ ზარალით დაგეგმილი მეურნეობის ზეგეგმიურმა მოგებამ შარშან 29.478 მანეთს მიაღწია.

— საინტერესოა ასეთი მონაცემებიც, — განაგრძო მომხსენებელმა, — 1960 წელს ცენტნერი დაფნის წარმოება 531 მანეთის ნაცვლად 449 მანეთი დაჯდა, 1961 წელს — 291, 1962 წელს — 338, 1963 წელს — 271 მანეთი, ხოლო 1964 წელს ცენტნერი დაფნის თვითღირებულება 25 პროცენტით შემცირდა. ასევე შემცირდა ხორცის, რძის, ხილის, ბამბუკის, ციტრუსების, თაფლის თვითღირებულება.

ხმა ადგილიდან: — ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ შარშან რომ სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გეგმები ვერ შესრულდა, ამაზე რაღას იტყვით?

მომხსენებელი: — ცხადია, ყველა აგროტექნიკური ღონისძიება რომ დროულად გაგვეხორციელებინა, ამინდის არახელსაყრელი პირობები ბევრს ვერაფერს დაგვაკლებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. წელს შარშანდელი მდგომარეობა აღარ გამეორდება. პარტორგანიზაციამ, ყველა კომუნისტმა გასული წლის შეცდომებიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს. შრომის შედეგიც გაცილებით უკეთესია. სიმინდისა და ბოსტნეული კულტურების მოსავალს კარგი პირი უჩანს. ასევე ითქმის სხვა კულტურების მოსავლიანობაზეც. მაგრამ მიღწევები მეტი იქნებოდა, ბრიგადები, რომლებსაც ბ. სიჭინავა, შ. ჯაშიტაშვილი და ა. ლოლუა ხელმძღვანელობენ, ცუდად რომ არ უვლიდნენ მრავალწლიან ნარგავებს.

— მეურნეობის კოლექტივის საწარმოო აქტივობის ამაღლების მიზნით, — აღნიშნეს მომხსენებელმა და ორატორებმა ვ. ცხვიტავამ, ჯ. ხვიჩიამ, ა. ხორავამ, რ. რეკიშვილმა, ალ. გაბუნიამ, გ. რევიშვილმა, მ. კუპრეიშვილმა და დ. შამათავამ, — პარტიული ორგანიზაცია მიმართავს მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიც არის ტექნიკის გამოყენების მასობრივი დათვალიერება, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები, ეკონომიური კონფერენციები. ნოვატორთა გამოცდილების განზოგადება და წარმოებაში დანერგვა. კომუნისტები, აგიტატორები შემოქმედებითი შრომისა და საწარმოო აღმავლობის ატმოსფეროს ქმნიან.

— მთავარი, რასაც ახალარჩეულმა პარტბიურომ უნდა მიაქციოს ყურადღება, — ამბობდნენ სიტყვებით გამოსული კომუნისტები, — ეს არის მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა. საჭიროა გაძლიერდეს იმ პირებთან ბრძოლა, რომლებიც არ შრომობენ და ცხოვრების იოლ გზას ეძებენ.

კრებაზე აღინიშნა, რომ მეურნეობაში დღემდე არიან ისეთი მუშები, რომლებიც დღიურ დავალებებს ვერ ასრულებენ (ნ. შიჯარიცეა, დ. შერმადინი და სხვები).

მეურნეობის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს გაზარდოს წარმოება იმ მიმართულებით, რომ 1970 წლისათვის შემოსავალმა 2,5 მილიონ მანეთს გადააჭარბოს, ხოლო მოგებამ — 1,5 მილიონ მანეთს.

კრებაზე კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ მეურნეობაში ჯერ კიდევ ნაკლებია მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა. იგრძნობა საცხოვრებელი ბინების სიმცირე. ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ მეურნეობას მუშახელი აკლია. მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები ხუსტად ეხმარებიან ტეხურელებს ახალი ტექნიკის ათვისებაში.

ამ მეურნეობის წინაშე ვალშია აგრეთვე მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი, რომელიც ძალიან ცოტას აკეთებს მცენარეთა მავნებლებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება და აირჩია პარტბიუროს ახალი შემადგენლობა.

გ. ნოდია.
„კომუნისტის" საკ. კორ.

---

# დიდად ვაფასებთ სსრ კავშირის დახმარებას

## — ამბობენ ვიეტნამელი პარლამენტარები

25 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. პეივე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკები შეხვდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაციის წევრებს. დელეგაციას მეთაურობს ვიეტნამის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ვან ხოანი. შეხვედრაში, რომელიც კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა, მონაწილეობდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ვან კინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით ამხ. პეივე გულთბილად მიესალმა ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს. მან აღნიშნა, რომ განუხრელად ფართოვდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეების ვიზიტებს, რომლებიც ამ ბოლო წლებში მოეწყო. ამ ვიზიტებმა დიდი წვლილი შეიტანეს ორი მოძმე ხალხის მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა კავშირი დემოკრატიულ ვიეტნამს ეხმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში, აგრეთვე სამართლიან ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ისევე, როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების მიმართვას ამერიკის აგრესიასთან დაკავშირებით და დაგმო ბინძური ომი, რომელსაც ამერიკელები ვიეტნამში აწარმოებენ. მიმდინარე წლის სექტემბერში ოტავაში (კანადა) გაიმართება საპარლამენტთაშორისო კავშირის სესია, რომელზეც საბჭოთა დელეგაცია გააკეთებს განცხადებას ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ვიეტნამში.

დასასრულ პალატის თავმჯდომარემ გამოთქვა რწმენა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების ვიზიტი ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხებს და პარლამენტებს შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას სტუმრებს გააცნეს დეპუტატებმა გ. თ. ანტონოვმა, ი. გ. პეტროვსკიმ, კ. მ. გერასიმოვმა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენი ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში მეტად მნიშვნელოვანი და სასიამოვნო მოვლენაა, — თქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ხოანგ ვან ხოანმა. — ამ მოგზაურობის დროს ჩვენ უფრო დაწვრილებით და ღრმად შევისწავლეთ საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დარგში, გავეცანით საბჭოთა ხალხის საქმიანობას მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის განმტკიცების საქმეში. გარდა ამისა, ჩვენ ღრმად დავრწმუნდით, რომ ყველა საბჭოთა ადამიანი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი დიდი სიმპათიით არის განწყობილი ვიეტნამელი ხალხისადმი. ისინი სოლიდარობას უცხადებენ იმ სამართლიან ბრძოლას, რომელსაც ახლა ვიეტნამელი პატრიოტები აწარმოებენ ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ.

ხოანგ ვან ხოანმა განაცხადა, რომ მთლიანად და სავსებით ეთანხმება ი. ვ. პეივეს აზრს, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ურთიერთობა ყველა დარგში განუწყვეტლივ ფართოვდება და მტკიცდება. საბჭოთა კავშირი, თქვა შემდეგ დელეგაციის მეთაურმა, გვიწევდა და გვიწევს არა მარტო მორალურ-პოლიტიკურ, აგრეთვე მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებასაც. უაღრესად დიდად ვაფასებთ საბჭოთა კავშირის დახმარებას ჩვენს ბრძოლაში. ჩვენი მთავრობის, ჩვენი ეროვნული კრების პოზიციას ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგებაში სავსებით დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ.

ხოანგ ვან ხოანმა თქვა, რომ ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენელთა ახლანდელი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელს უწყობს სსრ კავშირისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა შორის ურთიერთგაგების განმტკიცებას და საბრძოლო მეგობრობის განვითარებას. (საქინფორმი).

---

# რა იქნება ახალი ახალ სასწავლო წელს

**● ინტერვიუ საქართველოს სსრ განათლების მინისტრთან ●**

მთავრდება სასკოლო არდადეგები. რამდენიმე დღის შემდეგ ძალღონით აღსავსე და გამხნევებული ბავშვები კვლავ აავსებენ მშობლიურ სკოლებს.

1 სექტემბერს ათასობით გოგონასა და ბიჭუნასათვის მათს ცხოვრებაში პირველად დაირეკება სკოლის ზარი. საერთოდ კი ჩვენს რესპუბლიკაში მერხებს მოუსხდება სულ 900 ათასამდე მოსწავლე.

საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს ახალი სასწავლო წლის შესახებ.

**კითხვა:** რით აიხსნება სწავლების ვადის შეცვლა, ათწლედის შემოღება?

**პასუხი:** სკოლების მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სწავლის ვადა საშუალო სკოლაში გაჭიანურებული იყო. არის სრული შესაძლებლობა ათი წლის განმავლობაში უზრუნველვყოთ მოსწავლეთა კარგი მომზადება. ამასთანავე დგას საკითხი, რომ საქართველოში შეიქმნას მოსამზადებელი კლასები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა რუსულ სკოლებში, რუსული ენა და ლიტერატურა ქართულ სკოლებში, აგრეთვე საქართველოს ისტორია და რესპუბლიკის გეოგრაფია.

თერთმეტწლიანი სწავლება შემოღებული იყო იმისათვის, რომ სასკოლო პერიოდის მესამედი ეთმობოდა საწარმოო სწავლებას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამან არ გაამართლა თავისი დანიშნულება. სკოლის საქმე არ არის პროფესია ასწავლოს მოსწავლეებს, მიანიჭოს მათ მუშათა თანრიგები. ამასთანავე ბევრი დრო იკარგებოდა იმის გამო, რომ მეტწილ სკოლებს არ ჰქონდათ საწარმოო სწავლების ბაზები. ეს იწვევდა განათლების მუშაკთა და მშობელთა უკმაყოფილებას. ამიტომ გადაწყდა, რომ მიზანშეწონილი არ არის ასეთი სახის საწარმოო სწავლება.

**კითხვა:** ნიშნავს თუ არა ეს, რომ სკოლებში შეწყდება მოსწავლეთა შრომითი აღზრდა?

**პასუხი:** არა. შრომითი აღზრდა კვლავ სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ მიმდინარე სასწავლო წლიდან მისი ფორმები ძირეულად შეიცვლება. პედაგოგიურმა კოლექტივებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ხარისხის გაუმჯობესებას, მოსწავლეთა პოლიტექნიკური და შრომითი მომზადების სრულყოფას.

თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ერთმანეთს დაუკავშირებენ გაკვეთილებზე, სასწავლო კაბინეტებში, როცა იწარმოებს ლაბორატორიული მუშაობა ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში. აქ მოსწავლეები პრაქტიკულად გაადევნებენ თვალს ამა თუ იმ ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური კანონის მოქმედებას. ამას გარდა, მოსწავლეები მოაწყობენ ექსკურსიებს საწარმოებში, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ბავშვები შრომით ჩვევებს შეიძენენ სასკოლო სახელოსნოებში შრომის გაკვეთილებზე.

**კითხვა:** რა ცვლილებანი მოხდება სასწავლო პროგრამებში?

**პასუხი:** უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ წლებში სასკოლო კურსი გაუმართლებლად გაბერილი იყო. ბევრია მოძველებული მასალა, რაც მეტისმეტად ტვირთავს მოსწავლეებს, ძნელად ასათვისებელს ხდის პროგრამას. ამასთანავე პროგრამებში არ არის საბჭოთა და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის ბევრი უკანასკნელი მიღწევა. საშუალო განათლების შინაარსისა და მოცულობის ძირეული გადასინჯვისათვის შექმნილია რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული სპეციალური კომისიები მეცნიერთა და პედაგოგთა მონაწილეობით. ასეთი კომისიები ჩვენს რესპუბლიკაშიც მუშაობს. მათი მიზანია ხელახლა დაამუშაონ საქართველოს ისტორიის, ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის (ქართული სკოლებისათვის) სასკოლო კურსი.

ახლებურად ისწავლება სსრ კავშირის ისტორიის კურსი. წინათ ამ კურსს გადიოდნენ IV კლასში, შემდეგ VII-VIII კლასებში და, ბოლოს, კვლავ IX-X კლასებში. ახალი სასწავლო წლიდან IV კლასში კვლავ ისწავლება სსრ კავშირის ისტორია. შემდეგ სსრ კავშირის ისტორიის სრული კურსი იწყება VII კლასში და ოთხი წლის განმავლობაში სისტემატურად ისწავლება X კლასამდე. რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებს უფრო ღრმად შეისწავლონ ეს საგანი.

ზოგიერთი მოსწავლე ამა თუ იმ მიზეზის გამო რვა კლასის შემდეგ თავს ანებებს სწავლას. ამიტომ მერვე კლასებში შემოღებულია ახალი საგანი „საუბრები ჩვენი საზოგადოების შესახებ".

ბევრ სკოლაში გაუმჯობესდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლება. ათასობით მასწავლებელი ისეთნაირად აგებს გაკვეთილებს, რომ შეაიარაღოს ბავშვები მტკიცე ცოდნით, ჩაუნერგოს მათ ცნობისმოყვარეობა, შრომისმოყვარეობა, საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა. და ახალ სასწავლო წელს საქართველოს მასწავლებლებმა უნდა განაგრძონ ბრძოლა მოსწავლეთა სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

**კითხვა:** გადიდდება თუ არა იმ სკოლების რიცხვი, სადაც გაძლიერებით ისწავლება ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის კურსი?

**პასუხი:** ზოგიერთ სკოლაში, სადაც სწავლობენ ბავშვები, რომლებმაც მათემატიკის, ფიზიკისა და ქიმიის ნიჭი გამოამჟღავნეს, თავისი დანიშნულება გაამართლა სპეციალიზაციამ ამ საგნების მიხედვით. მაგალითად, ჩინებული სახელი მოიხვეჭა პირველმა გამოშვებამ, რომელიც წელს მოეწყო 42-ე მათემატიკურ სკოლაში. ჩვენი მონაცემებით, ამ სკოლის ყველა კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდები მათემატიკაში. ახალ სასწავლო წელს ჩვენ ვვარაუდობთ 45-მდე გავადიდოთ სპეციალიზებული კლასების მქონე სკოლათა რიცხვი. ასეთი სკოლები შეიქმნება თბილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, თელავსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

**კითხვა:** გაიხსნება თუ არა 1 სექტემბერს ახალი სკოლები?

**პასუხი:** ახალ სასწავლო წელს გაიხსნება 45 ახალი სკოლა. სკოლები გაიხსნება თბილისში, ცხინვალში, რუსთავში, ძეგვში, მუხრანში, წინანდალში, კოხნარში, ხობში, კირნათში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ახალი სკოლები ერთდროულად მიიღებენ 20 ათასზე მეტ მოსწავლეს.

სულ უფრო ფართოვდება სკოლების მშენებლობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების სახსრებით. სკოლებს აშენებენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, კოდორის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობა და სხვ.

**კითხვა:** როგორი გამოშვებაა მოსალოდნელი 1966 წელს?

**პასუხი:** ეს სასწავლო წელი განსაკუთრებული იქნება. 1966 წლის გაზაფხულზე რესპუბლიკის საშუალო სკოლები ერთდროულად გამოუშვებენ X და XI კლასის მოსწავლეებს.

ყველაზე ხელსაყრელ პირობებშიც კი უმაღლესი სასწავლებლები ვერ მიიღებენ ყველა კურსდამთავრებულს. ბევრი წავა წარმოებაში. ყოველივე ეს დიდ ამოცანებს უსახავს რესპუბლიკის განათლების ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს. კურსდამთავრებულთა შრომითი მოწყობისათვის ახლავე უნდა ვიზრუნოთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ქალიშვილთა და ჭაბუკთა შრომითი მოწყობის სპეციალური კომისია. იგი უკვე შეუდგა წინადადებათა შემუშავებას. ქარხნებმა და ფაბრიკებმა ადგილები უნდა მოამზადონ კურსდამთავრებულთათვის. თუ საჭირო იქნება, შეიქმნება სპეციალური საწარმოები.

(საქინფორმი).

---

კულტურის კერებში

# აქ დასვენება უხარიათ

მოსავლის აღების ამ დაძაბულ დღეებში ჯავის რაიონის ხვწის კულტურის სახლის მუშაკები გვერდში უდგანან თანასოფლელებს. მათ ფართო მუშაობა აქვთ გაჩაღებული მშრომელთა კულტურული დასვენებისათვის.

კულტურის სახლის დარბაზში ყოველ საღამოს ხალხით არის სავსე. აქ მოდიან შრომით დაღლილი ადამიანები, რათა კულტურულად დაისვენონ, ითამაშონ შაში, ჭადრაკი, ნახონ ახალი კინოსურათები.

მხატვრული თვითმოქმედების წრეში ჩაბმულია 54 კაცი. წრეებს კარგად ხელმძღვანელობენ გ. მედიევი, მ. ხარებოვი და ს. კარასტაევი. დრამწრემ განახორციელა ი. ფლიევის პიესა „ჯადოსანი ქალი".

ხალხური სიმღერისა და ცეკვის წრემ მოამზადა ოსური, ქართული, რუსული ცეკვები და სიმღერები. ახალი პროგრამით უკვე გაიმართა ექვსი კონცერტი ხვწის კოლმეურნეთათვის, ჯავის კურორტის დამსვენებელთათვის და კვაისელ მეშახტეთათვის.

კულტურის სახლის შენობაში მოთავსებულია ბიბლიოთეკაც. იგი ნათელ ოთახშია და კარგად არის გაფორმებული. კედლებზე გამოკრულია გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ფოტოსტენდები, დიაგრამები, პლაკატები, აქვეა ახალი წიგნების გამოფენა.

ბიბლიოთეკარი ასიათ ვანეევა გულმოდგინედ მუშაობს მოსახლეობაში წიგნის პროპაგანდისათვის. მას მრავალი მკითხველი ჰყავს. 2360 ეგზემპლარს ითვლის ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი. ორასზე მეტი მკითხველი სისტემატურად სარგებლობს ბიბლიოთეკის წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთებით.

ა. ვანეევა ბიბლიოთეკის აქტივთან ერთად ხშირად მართავს მკითხველთა კონფერენციებს. ამას წინათ ბიბლიოთეკაში საჯაროდ განიხილეს რ. ჩოჩიევის წიგნი „ბედნიერება".

ვანეევა კარგი აგიტატორიც არის. იგი ხშირად დადის სოფლებში მუგუთში, სტირფაზში, ბორჯნისში, სადაც ცოცხალი და საინტერესო საუბრებით გამოდის კოლმეურნეების წინაშე. ამიტომაც კოლმეურნე გლეხობა ყოველთვის კეთილი სალმით ეგებება აქტივისტს.

ნ. გაბარაევი.

# საყვარელი ადგილი

მშრომელების საყვარელი ადგილია მესტიის კულტურის სახლი. აქ ხშირად იმართება ხალისიანი საღამოები, წარმოდგენები, კონცერტები.

კულტურის სახლის დრამატულმა კოლექტივმა მიმდინარე წელს წარმოადგინა ს. მიხალკოვის „ველურები", შ. მილორავას „ხაჩიფათო გზაჯვარედინზე", სვანური ხალხური ზეპირსიტყვიერების მხატვრული საღამოები, ლეგენდების „ბოლბეთქილის" და „დედის თვალების" ინსცენირება. ახალგაზრდობის მომღერალთა გუნდმა მაყურებლის ყურადღება მიიპყრო ქართული ხალხური სიმღერების შესრულებით.

კულტურის სახლის კოლექტივი რაიონის სხვა კოლმეურნეობებში აწყობს გასვლით საღამოებს და უფასო კონცერტებს.

მესტიის კულტურის სახლის კოლექტივს მიზნად აქვს ახლო მომავალში მაყურებელს უჩვენოს გ. მარგიანის მიერ მომზადებული ახალგაზრდობის კონცერტი. დრამატული წრე კი მუშაობს კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილების" დადგმაზე.

გარდა ამისა, კულტურის სახლი მშრომელებს ემსახურება ყოველდღიური კინოსეანსებით, ყველა ღონისძიებას იღებს, რომ აქედან მაყურებელი კეთილი განწყობილებით და სულიერად დასვენებული გავიდეს.

ე. მარგიანი.
მესტია.

---

„კომუნისტის" სიგნალს უპასუხებენ

## „მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია"

ასეთი სათაურით „კომუნისტის" 21 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილი შეეხებოდა თელავის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების გაჭიანურებას, მარცვლის გასუფთავებისა და შენახვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

შემოწმების შედეგად წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საქართველოს კპ თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ალ. ფარდოშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტების შესახებ იმსჯელეს პარტიის თელავის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა და დასახეს ღონისძიებანი მოსავლის აღებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მიღებული ქმედითი ზომების შედეგად დროულად დამთავრდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება-დაბინავება, ნამჯის დამზადება.



თბილისის წინდის საქსოვი ფაბრიკის კომკავშირელი მქსოველები თინათინ შახკალომოვა და მზია შარაშენიძე სიმწიფის ატესტატით მოვიდნენ ფაბრიკაში სამუშაოდ. მალე ისინი გამოცდილ მქსოველთა დახმარებით დაეუფლნენ ხელობას. ყოველდღიურ საწარმოო დავალებას გადაჭარბებით ასრულებენ. მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია ყოველთვის მაღალ შეფასებას იღებს.

სურათზე: თ. შახკალომოვა და მ. შარაშენიძე მუშაობის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

---

# დეპუტატები უსმენენ, ეხმარებიან...

ცხინვალის რაიონის ბერულის სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბებულ ხუთ კომისიაში 48 დეპუტატია გაერთიანებული. სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ტურაშვილი და მდივანი შ. ბორცვაძე სისტემატურად ეხმარებიან მუდმივ კომისიებს ამომრჩეველთა განაწესის შესრულებაში. მუდმივი კომისიების წევრები ყოველთვის ტრიალებენ ამომრჩეველთა ირგვლივ, ისმენენ მათს წინადადებებს, საჩივრებს, შენიშვნებს, განიხილავენ თავიანთ სხდომებზე და შემდეგ სასოფლო საბჭოს აღმასკომის დახმარებით სახავენ ღონისძიებებს ნაკლოვანებების სწრაფად გამოსასწორებლად.

თვითეულ კომისიას გახსნილი აქვს ცალკე საქმე, სადაც სხდომის ოქმები ინახება. კომისიებს არჩევნების შემდეგ უკვე ოთხი-ხუთი სხდომა გაუმართავთ.

განსაკუთრებით მისაბაძია სასოფლო-სამეურნეო კომისიის საქმიანობა. ამ კომისიაში, რომელსაც აგრონომი ს. მელქოევი ხელმძღვანელობს, ძირითადად გაერთიანებული არიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ბრიგადირები, რიგითი მუშები.

ამჟამად შრომის ყველა უბანზე ვხედავთ კომისიის წევრებს, რომლებიც წარმატებებსაც აღწევენ, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მშრომელებს.

სასოფლო საბჭოს დეპუტატის ნ. ბერუაშვილის წინამძღოლობით მიმდინარე წელს ორგანიზებულად შესრულდა ერედვის საბჭოთა მეურნეობის ვენახის სამუშაოები: ვაზი დროულად გასხლეს, შეყელეს, სიმეჩხრე მოსპეს. 14 ჰექტარი შპალერზე გადაიყვანეს, ქვლიანი მავთულით შემოღობეს. გამოცდილი მევენახეები ჰექტარზე 90-100 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობენ.

ნ. მაისურაძის დახმარებით სანიმუშოდ არის მოვლილი საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღი, რომელსაც 382 ჰექტარი უჭირავს. როგორც აგრონომი და დეპუტატი, ნ. მაისურაძე ყოველდღიურად ასწავლის მუშებს ხეხილის შეწამვლის წესებს. ყველაფერს აკეთებს ხილის უხვი მოსავლის მისაღებად. ერედველი მშრომელებიც მიცემული გეგმის ორმაგად შესრულებას ვარაუდობენ. დეპუტატმა ა. ჯიკაევამ კარგი ინიციატივა გამოიჩინა — წელს საგულდაგულოდ ჩაატარა 150 ჰექტარ ფართობზე ყანების წამლობა ჰერბიციდებით.

სასოფლო საბჭოს დეპუტატების, მემინდვრეობის ბრიგადირების გ. მჭედლიძის, ვ. ბორცვაძის, ლ. ვახტანგაშვილის, ვ. ტურაშვილის უნარიანი შრომის შედეგად წელს ერედვის საბჭოთა მეურნეობამ უზრუნველყო ხორბლის უხვი მოსავლის დროულად აღება. მეურნეობას 416 ჰექტარზე ჰქონდა თავთავიანი მარცვლეული კულტურები და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 25 ცენტნერი მარცვალი. ეს დიდად აჭარბებს გეგმას.

სასოფლო საბჭოს დეპუტატმა, პირველი ბრიგადის ბრიგადირმა ვ. ჟუჟუნიაშვილმა 13 ჰექტარი შემოდგომის ქერის საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველყო 34 ცენტნერის მიღება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა, ხოლო შემოდგომის ხორბალი „უფხო" ჰექტარზე 27,8 ცენტნერი მიიღო.

ხორბლის უხვი მოსავლის მიღებით ერედვის საბჭოთა მეურნეობამ სახელი გაითქვა ცხინვალის რაიონში. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 3.580 ცენტნერი პურეული, გეგმა კი 110 ცენტნერს ითვალისწინებს.

ერედვის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველის დეპუტატ ვასო ბასიშვილის ხელმძღვანელობით ამას წინათ შორეულ მთებზე ბალახის გასათიბად წავიდა 200 ახალგაზრდა, რომლებიც გარიჟრაჟიდან დაბინდებამდე არ წყვეტენ ვაჟკაცურ შრომას. მათ 530 ჰექტარზე აიღეს ბალახი და წელს პირუტყვს უკეთესი საკვები ექნება.

რაიონში ბეჯითი შრომით სახელი გაითქვა მეცხოველეობის ფერმის მმართველმა დეპუტატმა ო. ქელეხსაშვილმა, რომელიც ერთი წუთითაც არ შორდება ფერმას. მწველავები ბეჯითი შრომით ზრდიან წველადობას. შედეგიც სასიხარულოა. ჯერ კიდევ 15 აგვისტოსათვის ერედვის საბჭოთა მეურნეობის ფერმებში მიღებულია 510.076 კილოგრამი რძე, საიდანაც სახელმწიფოს ჩაბარდა 428.247 კილოგრამი. გასულ წელთან შედარებით აქ 152.625 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს, ანუ 335 კილოგრამით მეტი თითო საფურავე ძროხაზე.

მოწინავე მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ვახტანგაშვილმა თითო საფურავე ძროხაზე 14 აგვისტოსათვის უზრუნველყო 1.233 კილოგრამი რძის მიღება, რაც ნავარაუდევს დიდად აღემატება.

ერედვის საბჭოთა მეურნეობამ 50 ჰექტარის ნაცვლად 166 ჰექტარზე დათესა სანაწვერალო კულტურები. თვალს ახარებს 287 ჰექტარი „მინდვრის დედოფალი" და 150 ჰექტარი კარგად დამუშავებული შაქრის ჭარხალი.

ამ სამუშაოების შესასრულებლად ბევრი შრომა გასწიეს დეპუტატებმა. დეპუტატების მთელი გულისყური ახლა მიმართულია იქითკენ, რომ ორგანიზებულად მოუარონ სათოხნ კულტურებს, დროულად ჩაატარონ მზრალად ხვნა, უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი, შეაკეთონ იარაღ-მანქანები.

სწორედ ამ მიზნით ამას წინათ მოწვეულ იქნა ბერულის სასოფლო საბჭოს სესია. სესიამ განიხილა ორი საკითხი. პირველ საკითხზე — ნათესების დამუშავების მიმდინარეობა ერედვის საბჭოთა მეურნეობაში — მოხსენება გააკეთა დეპუტატმა, აგრონომმა ელო მელქოევამ. ხოლო მეორე საკითხზე — იარაღ-მანქანების რემონტის შესახებ ილაპარაკა, ინჟინერ-მექანიზატორმა გ. გახელაძემ.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა დეპუტატებმა ვ. ტურაშვილმა, ს. მელქოევმა, ნ. ქელიხსაშვილმა აღნიშნეს, რომ ერედვის საბჭოთა მეურნეობაში ნათესების დამუშავება და იარაღ-მანქანების რემონტი — ძირითადად დამაკმაყოფილებლად შესრულდა. მექანიზატორებს შალვა, ვლადიმერ, ნოდარ ბერუაშვილებს, გიორგი ბორცვაძეს სრულ წესრიგში აქვთ მოყვანილი ტრაქტორები და ორგანიზებულად აწარმოებენ ხვნას. ყოველდღიურად მზრალად ხვნაზე ხუთი ტრაქტორი მუშაობს, უკვე მოხნულია 100 ჰექტარი მზრალი.

სასოფლო საბჭოს დეპუტატები ნაკლოვანებებზეც მსჯელობდნენ, გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ წელს ერედვის საბჭოთა მეურნეობაში დაგვიანებით მოეწყო ბოსტნეული კულტურების რგვა.

სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ვ. ტურაშვილმა აღნიშნა, რომ ერედვის საბჭოთა მეურნეობას 22 ავტომანქანა აქვს, აქედან კილომეტრაჟის აღმრიცხველი რამდენიმე მანქანას არ უყენია, რაც მძღოლებს ხელს უწყობს არადანიშნულებისამებრ გამოიყენონ ავტომანქანები. ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

სასოფლო საბჭოს სესიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

სასოფლო საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე ფართოდ არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, სათანადო ყურადღება ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

ს. ცოტნიაშვილი,
ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

# საერთაშორისო ცხოვრება

## ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ

ანკარა, 24 აგვისტო. (საკდესი). ანკარის პრესა კვლავ განმარტავს თურქეთის პრემიერ-მინისტრის ურგიუპლუს ვიზიტს საბჭოთა კავშირში. „თურქი ერი, — წერს გაზეთ „ულუსში“ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე მ. ნ. ოქჩუოღლუ, — ძალიან კმაყოფილია, რომ საბჭოთა ხალხმა, სახელმწიფო მოღვაწეებმა და მთავრობის წევრებმა უღრესად გულთბილად მიიღეს ურგიუპლუ მოსკოვში მისი ყოფნის დროს“. შემდეგ მ. ნ. ოქჩუოღლუ წერს, რომ ამ ვიზიტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორი ქვეყნის დროებით დარღვეული ურთიერთობის აღდგენისათვის და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა როლს ასრულებდა საბჭოთა კავშირის დახმარება თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს. „იმ ისტორიულ მომენტში, როცა ათათურქი სამშობლოს განთავისუფლებისათვის იბრძოდა, — წერს ავტორი, — ერთადერთი ადამიანი, რომელმაც თურქეთს დახმარება გაუწია და სამეგობროდ გაუწოდა ხელი, იყო დიდი ლენინი.

ისინი, ვინც ცდილობს მოწამლოს ორი დიდი ხალხის ურთიერთობა, რომლებსაც საერთო სახმელეთო და საზღვაო საზღვარი აქვთ, ამას ან ბოროტი განზრახვით სჩადიან, ან არ იციან ორი დიდი ხალხის ისტორიული, პოლიტიკური და გეოგრაფიული ვითარება. ჩვენი სურვილია ეს დაახლოება და შეთანხმება გრძელდებოდეს და ვითარდებოდეს ჩვენი ხალხებისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ“.

## შეთანხმება დაიდო

კაირო, 24 აგვისტო. (საკდესი). ქალაქ ჯიდაში (საუდის არაბეთი) დამთავრდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერისა და საუდის არაბეთის მეფის ფეისალის მოლაპარაკება, რომლის მიზანია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესება და იემენის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება.

ნაშუადღევს პრეზიდენტმა ნასერმა და მეფე ფეისალმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

საუდ-ეგვიპტის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ პრეზიდენტი ნასერი და მისი თანმხლები პირები კაიროს გაფრინდნენ. აეროდრომზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გააცილეს მეფე ფეისალმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

ორივე მხარემ ხელი მოაწერა აგრეთვე ერთობლივ კომუნიკეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჯიდას მოლაპარაკება გაგრძელება იყო ორი ქვეყნის წარმომადგენელთა წინა შეხვედრებისა და კონტაქტებისა, რომელთა მიზანი იყო მშვიდობის შენარჩუნება და არაბული ქვეყნების ერთობა. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საუდის არაბეთის მეფის მოლაპარაკება, აღნიშნულია კომუნიკეში, მიზნად ისახავდა იემენელი ხალხის ეროვნულ მონაპოვართა და იემენის ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნებას, რათა იემენელ ხალხს საშუალება ჰქონდეს „შეუდგეს თავისი ქვეყნის მშენებლობას“.

ორივე მხარეს საჭიროდ მიაჩნია, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და საუდის არაბეთის ურთიერთობა და თანამშრომლობა კვლავ მტკიცდებოდეს და შეესაბამებოდეს ორი ხალხისა და მთელი არაბი ერის მისწრაფებებს და ემსახურებოდეს არაბთა ქვეყნებს შორის მშვიდობის განმტკიცებას. მხარეები, — „აღნიშნულია კომუნიკეში, — შეთანხმდნენ თუ როგორ უნდა მიაღწიონ დასახულ მიზნებს“.

პრეზიდენტმა ნასერმა მეფე ფეისალი ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში.

### ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულ საბჭოში

დელი, 25 აგვისტო. (საკდესი). დელიში დამთავრდა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესია, რომელიც ექვს დღეს მიმდინარეობდა. 19-24 აგვისტოს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს წევრებმა განიხილეს ინდოეთის სასურსათო მდგომარეობის, ინდოელ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის საკითხები, ორგანიზაციული და საშინაო-პოლიტიკური პრობლემები, ქაშმირის მდგომარეობა.

## პრეზიდენტ ნკრუმას გამოსვლა პარლამენტში

აკრა, 25 აგვისტო. (საკდესი). ჩვენი ენერგია უნდა მოვახმაროთ მძლავრი და აყვავებული სოციალისტური საზოგადოების შექმნას, რომელიც შეძლებს ჩვენი ხალხის მიზნებისა და მისწრაფების განხორციელებას, განაცხადა განის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ განის რესპუბლიკის ეროვნული კრების სესიის გახსნაზე.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს ეროვნული კრება განაში სოციალისტური დემოკრატიის პირველი საპარლამენტო სახეა და თქვა, რომ პარლამენტმა ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

შემდეგ ნკრუმამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განა საგარეო პოლიტიკაში კვლავ ივლის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის გზით პოზიტიური ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის პრინციპების შესაბამისად.

ნკრუმამ განაცხადა, რომ მან წინადადება შეიტანა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენცია დაიწყოს 21 ოქტომბერს აკრაში, ხოლო აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მონაწილე ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი — 12 ოქტომბერს.

ნკრუმამ აღნიშნა განის ეკონომიური პროგრესი, რომელიც მიღწეულია მიუხედავად იმისა, რომ დაეცა კაკაოს მსოფლიო ფასები (კაკაო განის ძირითადი საექსპორტო პროდუქტია). მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის პოლიტიკა კვლავ მიზნად ისახავს მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციასა და მის გარდაქმნას მრავალდარგოვან მეურნეობად, აგრეთვე განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას.

### მეგობრების დახმარებით

ზანზიბარი, 25 აგვისტო. (საკდესი). დაბა მახონდაში (ქალაქ ზანზიბარის ჩრდილოეთით) საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პირველი სამრეწველო საწარმო, რომელიც აშენდა ზანზიბარის ეკონომიური განვითარების სამწლიანი გეგმის შესაბამისად. მწყობრში ჩადგა ბრინჯის საწმენდი ქარხანა, რომელიც კუნძულზე აშენდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დახმარებით.

ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა აბეიდ კარუმემ, მახონდის ქარხნის გახსნის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზანზიბარის რევოლუციური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს ხალხის საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. აბეიდ კარუმემ მადლობა გადაუხადა მშენებლებს, რომლებმაც მოკლე დროში — 3 თვეში დაამთავრეს მუშაობა.

გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ კუნძულზე გამოგზავნა სპეციალისტები და მოწყობილობა ქარხნისათვის.

## ვიეტნამის მშვიდობისათვის

დასავლეთი ბერლინი. დასავლეთ ბერლინის მშვიდობისათვის, ეროვნული და საერთაშორისო ურთიერთგაგებისათვის ბრძოლის მუდმივი სამუშაო კომიტეტი აწყობს იმ განცხადებაზე ხელმოწერის კამპანიას, რომელიც მოითხოვს ამერიკის აგრესიის შეწყვეტას ვიეტნამში. აგროვებენ აგრეთვე სახსრებს აგრესიით დაზარალებული სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დასახმარებლად.

იაპონია. იაპონელი ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალყურს ომს, რომელიც ვიეტნამში წარმოებს, ასეთი დასკვნა გამოიტანა გაზეთმა „ასახიმ“ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად. გამოკითხულთა 60 პროცენტმა ხაზგასმით აღნიშნა: არის იმის საშიშროება, რომ იაპონიას ჩაითრევენ ამ ომში, რადგან არსებობს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულება და ამერიკას ბაზები აქვს ოკინავაზე და იაპონიაში. 75 პროცენტი პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკა ბომბავს ჩრდილოეთ ვიეტნამს, და მხოლოდ 4 პროცენტმა მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების ეს მოქმედება.

ჩვენ უნდა ვუამბოთ ამერიკელებს თუ რა საშიში ვითარებაა ვიეტნამში — ახეთი დევიზით დაიწყო ტოკიოში იაპონელ კულტურის მოღვაწეთა კამპანია ვიეტნამის მშვიდობისათვის. კამპანიის ორგანიზატორებმა, რომლებსაც მეთაურობენ ცნობილი მწერლები, გადაწყვიტეს მოაგროვონ საჭირო სახსრები, რათა ამერიკის პრესაში გამოაქვეყნონ მასალები იმის შესახებ, თუ რამდენად საშიშია ამერიკის შეერთებული შტატების სავიეტნამო პოლიტიკა და რა შეიძლება მოჰყვეს მას.

პუერტო-რიკო. ქალაქ აგუადილიაში გაიმართა სტუდენტთა და მუშათა დემონსტრაცია სამხედრო ვალდებულების წინააღმდეგ, რომელიც პუერტორიკოელ ხალხს თავს მოახვიეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ ტრანსპარანტები: „პროტესტს ვაცხადებთ ვიეტნამის ომის წინააღმდეგ!“, „არ გვინდა, რომ ჩვენი ოჯახები ძაძებს ატარებდნენ!“.

ნორვეგია. ნორვეგიის დედაქალაქის ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია კვლავ გმობს ამერიკელთა ომს ვიეტნამში და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. გაზეთ „არბეიდერბლადეტში“ გამოქვეყნებულ განცხადებაში, ორგანიზაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ამერიკელებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

საფრანგეთი. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით „რენოს“ საავტომობილო ქარხნებში, რომლებშიც 26 ათასი მუშა მუშაობს, აგროვებენ ხელმოწერას ვიეტნამის მშვიდობისათვის.

სპეციალურად გამოყოფილმა დელეგატებმა ამერიკის საელჩოს წარუდგინეს პირველი ასეული ხელმოწერილი ბარათი. „რენოს“ მუშები აგრეთვე სახსრებს აგროვებენ ვიეტნამის დახმარების ფონდისათვის. (საკდესი).

### სტუმრად საფრანგეთში

პარიზი, 25 აგვისტო. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს პარიზში ჩამოვიდა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ლე დიკ თხო. ამ დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით „ლუმანიტეს“ დღევანდელ ნომერში გამოქვეყნდა რაიმონ გიუიოს სტატია, რომელიც მიესალმება გმირი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლებს. „ეს მოვლენა, — ნათქვამია სტატიაში, — მკაფიო გამოვლინებაა ჩვენი ხალხების ისტორიული მეგობრობისა, რომელიც მათ შეინარჩუნეს და განამტკიცეს კოლონიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ხანგრძლივი საერთო ბრძოლის მსვლელობაში... ძმურად ვამბობთ: „ვიეტნამელო ამხანაგებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქვეყანაში“.

### ტეილორს „შეხვდნენ“...

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). რამდენიმე ათეული დემონსტრანტი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიას სჩადიან ვიეტნამის მიმართ, გუშინ პიკეტობდა სან-ფრანცისკოს სასტუმროს, სადაც გაჩერდა ამერიკის ყოფილი ელჩი სამხრეთ ვიეტნამში ტეილორი. ტეილორი ამ ქალაქში ჩამოვიდა, რათა სიტყვა წარმოეთქვა „კომონუელსის“ კლუბში. პიკეტირებას აწყობს „ვიეტნამის კომიტეტი“. ამ კომიტეტმა უკვე მოაწყო ბევრი დემონსტრაცია, რომელთა მონაწილეებმა აქტიურად შეუშალეს ხელი ჯარების გაგზავნას ოკლენდის ნავსადგურში, იქიდან კი სამხრეთ ვიეტნამში.

## ჩომბეს ვარაუდებს ლახვარი ჩაეცა

### კონგოს სასამართლოს გადაწყვეტილება

ლონდონი, 25 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იუწყება, კონგოს სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება აღმოსავლეთ კონგოს მანიემის პროვინციაში და ფიზის ტერიტორიაზე პარლამენტის არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ.

• • •

საკდესის კომენტატორი ბ. დორონოვი წერს:

არჩევნების შედეგების გაუქმება მანიემის პროვინციაში და ფიზის ტერიტორიაზე იმას ნიშნავს, რომ კვლავ საკმაოდ დიდი ხნით გადაიდოს კონგოს „საერთო ეროვნული“ პარლამენტის მოწვევა, რომელიც, როგორც მოიზ ჩომბე იფიცებოდა, უნდა შეკრებილიყო ჯერ კიდევ 30 ივნისამდე. დასავლეთის მიმომხილველები ლეოპოლდვილის სასამართლოს გადაწყვეტილებას იმას უკავშირებენ, რომ კონგოში წარმოებს პირადი ბრძოლა ხელისუფლებისათვის პრეზიდენტ კასავუბუსა და პრემიერ-მინისტრ ჩომბეს შორის. პარლამენტის არჩევნების მოწყობით კონგოში, რომლის დიდი ნაწილი ფაქტიურად არ ექვემდებარება ლეოპოლდვილის ხელისუფლებს, ჩომბე ვარაუდობდა კანონიერი პრემიერის რეპუტაცია მოეპოვებინა მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. გარდა ამისა, ჩომბემ ათასგვარი თაღლითობით პარლამენტის ადგილების 60 პროცენტზე მეტი მოუპოვა (სულ 160 ადგილია) თავის მომხრეებს — მის მიერ შექმნილი „კონაკოს“ პარტიის წევრებს, და იმედი ჰქონდა, რომ ამით ხელისუფლებისათვის ბრძოლის ასპარეზიდან ჩამოიშორებდა კონკურენტებს. როგორც უცხოელი ჟურნალისტები იუწყებიან, ჩომბე უკვე გამარჯვებას ზეიმობდა და კონგოს პრეზიდენტის პოსტის დაკავებაც კი განიზრახა. მაგრამ ჩომბეს ვარაუდებს მოულოდნელად ლახვარი ჩასცეს. მისმა კონკურენტებმა — ლეოპოლდვილის გავლენიანმა პოლიტიკანებმა, რომლებიც პრეზიდენტ კასავუბუს უჭერენ მხარს, არ მოისურვეს გამარჯვებულის სამოწყალოდ გამხდარიყვნენ. ივნისში კასავუბუმ სააპელაციო სასამართლოს მიაღებინა გადაწყვეტილება კონგოს სამ პროვინციაში — ცენტრალურ კიუვეტში, კვილუსა და ცენტრალურ კონგოში არჩევნების შედეგების გაუქმების შესახებ. ამ პროვინციებში აპრილის არჩევნებში ჩომბეს მომხრეებმა გაიმარჯვეს. ორიოდე დღის წინათ ამ პროვინციებში გაიმართა „ხელახალი არჩევნები“ და ჩომბეს ყველა ღონისძიების მიუხედავად არჩევნებში გაიმარჯვეს კასავუბუს მომხრეებმა, „კონაკომ“ კი დაკარგა ადგილების დაახლოებით მეხუთედი პარლამენტში. ლეოპოლდვილის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს, რომ „ხელახალი არჩევნების“ საშუალებით კიდევ უფრო შეარყიოს ჩომბეს პოზიციები პარლამენტში. დასავლეთის მიმომხილველთა აზრით, მანიემის პროვინციაში და ფიზის ტერიტორიაზე გამართული „ხელახალი არჩევნების“ შედეგად „კონაკომ“ შეიძლება დაკარგოს პარლამენტის შვიდი მანდატი.



ინდონეზიის რესპუბლიკა. რესპუბლიკის დედაქალაქი ჯაკარტა. დამოუკიდებლობის მონუმენტი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## „ჯემინაი-5“ მიფრინავს

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. (საკდესი). ამერიკელი კოსმონავტები კუპერი და კონრადი განაგრძობენ ფრენას. 16 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით „ჯემინაი-5“-მა დედამიწას 45-ჯერ შემოუარა. როგორც ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, კოსმონავტებმა ნებართვა მიიღეს კიდევ ერთი დღით განაგრძონ ფრენა. ე. ი. „ჯემინაი-5“-მა დედამიწას კიდევ 61-ჯერ უნდა შემოუაროს ანუ იმის ნახევარი, რაც დაგეგმილი იყო რვა დღის ფრენისათვის.

დასაკვირ სადგურებსა და კოსმოსურ ცენტრს, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, მუდმივი კონტაქტი აქვთ დამყარებული კუპერთან და კონრადთან. კოსმონავტებმა მათ აცნობეს, რომ ღამით კოსმოსურ კოსტუმებში ტემპერატურა დაეცა პლუს 8 გრადუსამდე (44 გრადუსი ფარენჰაიტით). „საკმაოდ ციოდა“, — თქვა კუპერმა. ფრენის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ისინი შეისწავლიან ტემპერატურის დაცემის მიზეზებს.

დღეს, გარდა იმისა, რომ ჩვეულებრივ დაკვირვებებს აწარმოებენ, კოსმონავტები „ჯემინაი-5“-ის რადალური სისტემით კავშირს დაამყარებენ კენედის კონცხთან. შემდეგ კუპერი და კონრადი ხომალდის კაბინაში „გამოიკვლევენ“ კოსმოსში კოსმოსური ხომალდების შეხვედრას. როგორც კოსმოსური ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ეს საჭიროა იმ გაფრენებისათვის, რომლებიც ამა წლის ოქტომბრის დამლევისა და დეკემბრისათვის არის დასახული.

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). „ჯემინაი-5“-ის ეკიპაჟმა — ამერიკელმა კოსმონავტებმა კუპერმა და კონრადმა, გუშინ 21 საათისა და 22 წუთისათვის მოსკოვის დროით ორმოცდამერვეჯერ შემოუარეს დედამიწას და განაგრძობენ ფრენას. როგორც ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, კოსმონავტთა მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

გუშინ კოსმონავტები დაკვირვებას აწარმოებდნენ „მინიტმენ-11“ რაკეტის ფრენაზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაუშვეს, და რამდენიმე ფოტოსურათი გადაუღეს მას. კოსმონავტები გააფრთხილეს, რომ თვალყური ადევნონ საწვავის ხარჯვას. 23 აგვისტოს კოსმოსში მანევრის დროს მათ, ალბათ, გათვალისწინებულზე მეტი საწვავი დახარჯეს.

ტემპერატურამ კოსმოსურ კოსტუმებში იმატა და 14-15 გრადუსს მიაღწია ცელსიუსით. როგორც კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, თანდათანობით უმჯობესდება კოსმოსური ხომალდის ელექტროკვების სისტემის მუშაობა. „ჯემინაი-5“ ხომალდის ფრენის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ფრენა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, და, როგორც ჩანს, გაგრძელდება რვა დღეს, როგორც დაგეგმილი იყო.

ნიუ-იორკი, 25 აგვისტო. (საკდესი). 25 აგვისტოს დილის 10 საათისათვის მოსკოვის დროით ამერიკის კოსმოსურმა ხომალდმა „ჯემინაი-5“-მა 56-ჯერ შემოუფრინა დედამიწას. საინფორმაციო სააგენტოების კორესპონდენტები ჰიუსტონის (ტეხასის შტატი) კოსმოსური ცენტრიდან იუწყებიან, რომ კოსმონავტების კუპერისა და კონრადის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

დღეს გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ იუწყება, რომ ხომალდ „ჯემინაი-5“-ზე არის ინფრაწითელი სხივების დეტექტორები, რომელთა საშუალებით წარმოებს „ტექნიკური ექსპერიმენტები“ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროსათვის. როგორც გაზეთი აღნიშნავს, 47-ე შემოვლაზე ხომალდიდან გადაიღეს რაკეტა „მინიტმენი“ გაშვების მომენტში ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) სამხედრო-საჰაერო ბაზიდან. შემდეგ კი გაზომეს ინფრაწითელი სტრუქტურა.

## 18 [illegible]

ჟენევა, 24 აგვისტო. (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა კანადის წარმომადგენელმა გენერალმა ბერნსმა. მან თქვა, რომ ნატოს ქვეყნები მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ შეტანილ პროექტს — „ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების ხელშეკრულებას“. გენერალმა ბერნსმა განაცხადა, თითქოს „მრავალმხრივ ატომურ ძალებს“ არაფერი აქვს საერთო ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულების პროექტთან. ერთა სასახლის წრეებში ეს განცხადება იმის მორიგ ცდად მიაჩნიათ რომ ერთმანეთს „შეუთავსონ“ ბონის ატომური იარაღით შეიარაღება და საერთაშორისო ხელშეკრულება ამ იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

## საბერძნეთის პარლამენტში

ათენი, 24 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ა. სიომინი იუწყება:

დღეს საბერძნეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ი. ცირიმოკოსმა პარლამენტში გააკეთა ოცდაათწუთიანი განცხადება მთავრობის პროგრამის შესახებ. ამ განცხადებით დასაბამი მიეცა დისკუსიას კაბინეტის ნდობის საკითხზე, რომელიც რამდენიმე დღეს გასტანს. დისკუსიის შემდეგ გაიმართება კენჭისყრა.

ცირიმოკოსმა აღნიშნა, რომ ბოლო უნდა მოეღოს პოლიტიკურ კრიზისს „საბერძნეთის ეკონომიური განვითარებისათვის“. მან თქვა, რომ მთავრობას განზრახული აქვს განახორციელოს „სათანადო ზომები“, რათა გაუსწორდეს მასობრივ სახალხო გამოსვლებს, რომლებიც დაახასიათა, როგორც მოსახლეობის „პატარა ჯგუფების მოქმედება“.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ცირიმოკოსმა განაცხადა, რომ იგი უცვლელი რჩება: საბერძნეთი კვლავ ერთგული იქნება ნატოსი, მაგრამ უარს არ ამბობს სხვა ქვეყნებთან ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის განვითარებაზე.

ახალ პრემიერს არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვა ცენტრის კავშირის პარტიისა და ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის დეპუტატებმა საპროტესტო შეძახილებით.

პარლამენტის შენობის მისასვლელებს იცავენ პოლიციისა და ჟანდარმერიის დიდი რაზმები.

## საგანგებო ზომები

პარიზი, 24 აგვისტო. (საკდესი). საბერძნეთის ხელისუფლებმა საგანგებო ზომებს მიმართეს იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტში დაიწყო კამათი ი. ცირიმოკოსის ახალი მთავრობის ნდობის საკითხზე.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ათენელი კორესპონდენტი იუწყება, არმიის ქვეგანაყოფები და პოლიციის ქვეგანაყოფები საბერძნეთის დედაქალაქში საბრძოლოდ არიან გამზადებული. დიდ ძალებს მოუყარეს თავი პარლამენტისა და მეფის სასახლის მახლობლად. გაორკეცებულია პარლამენტის შიდა დაცვა.

## კურსს აიღებს სინგაპურისაკენ

ლონდონი, 25 აგვისტო (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ინგლისის უდიდესი სამხედრო ხომალდი — ავიამზიდი „იგლი“ დღეს კურსს აიღებს სინგაპურისაკენ. ავიამზიდზე არის ბომბდამშენების ესკადრილია „ბაკანირი“ და საწვავით მომმარაგებელი თვითმფრინავები. „იგლი“ სინგაპურში უნდა ჩავიდეს ნოემბერში.

დამახასიათებელია, რომ „იგლის“ წასვლა ინგლისის ამ უდიდეს სამხედრო ბაზაში გამოაცხადეს სულ რამდენიმე დღის შემდეგ, როცა კალდროუზის სამხედრო ბაზაში გაიმართა ინგლისის მთავრობის სასწრაფო თათბირი იმის თაობაზე, რომ ინგლისისათვის მოულოდნელად მალაიზიის ფედერაციიდან გავიდა სინგაპური. პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა და კაბინეტის წამყვანმა წევრებმა შეწყვიტეს შვებულებები, რათა განეხილათ სინგაპურის ბაზის მდგომარეობა. ამ ბაზას ინგლისის მთავრობა 200 მილიონ გირვანქა სტერლინგს ახმარს წელიწადში.

### ვენეციის კინოფესტივალი

რომი, 24 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაიხსნა ვენეციის მხატვრული ფილმების XXVI საერთაშორისო კინოფესტივალი.

## სოციალისტურ ქვეყნებში

### გაკეთებულია ჩეხოსლოვაკიაში

თითქმის 80 ქვეყანა ყიდულობს ლითონდასამუშავებელ ჩარხებს, რომლებსაც აქვთ მარკა „გაკეთებულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში“. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს საერთაშორისო ბაზრებზე გააქვთ 550 სხვადასხვა ტიპის ასეთი ჩარხი. ყოველწლიურად ჩეხოსლოვაკიას გააქვს სულ ცოტა 17 ათასი ლითონდასამუშავებელი ჩარხი. ჩარხების ექსპორტით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო ექსპორტის ზრდის ტემპით გაუსწრო ჩარხების ისეთ მსოფლიო ექსპორტიორებს, როგორიცაა ინგლისი და შეერთებული შტატები.

ჩეხოსლოვაკია სპეციალდება რამდენიმე ათეული ტიპის ჩარხის წარმოებაზე ეკონომიური ურთიერთდახმარების ფარგლებში. წელს მისი ჩარხების, მანქანებისა და სამრეწველო მოწყობილობის გატანა შეადგენს სოციალისტური ქვეყნების საერთო ექსპორტის 80 პროცენტს.

### სახელოვანი წლისთავი

ჰავანაში გაიმართა დიდი მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კუბელ ქალთა ფედერაციის შექმნის მეხუთე წლისთავს. ფედერაციის თავმჯდომარემ ვილმა ესპინ დე კასტრომ მიტინგზე წაიკითხა ფედერაციის განცხადება. განცხადებაში ნათქვამია, რომ კუბელ ქალებს ღირსეული ადგილი უჭირავთ სოციალიზმის მშენებლობაში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ყველა იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რომლებსაც კუბის რევოლუცია უსახავს მათ განათლების დარგში, სამშობლოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, წარმოებაში და სხვ.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა არიანდო ჰარტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა უდიდეს როლს ასრულებენ კუბელი ქალები ახალი საზოგადოების მშენებლობაში, რევოლუციის დაცვაში.

### ახალი სელენის გამმართველი

ტიანძინში დამზადდა სელენის გამმართველი, რომელიც პირველია ჩინეთში. ეს გამმართველი ელექტრობ ატარებს სწრაფად მუხტავს და ამუშავებს ძრავებს.

ახალი გამმართველი 80 პროცენტით ამცირებს იმ დროს, რაც საჭიროა სატვირთო ავტომობილის ბატარეის დამუხტვისათვის. მისი საშუალებით შეიძლება რამდენიმე წამში ამუშავდეს ავტომანქანის ძრავა, ჰაერის ტემპერატურა მინუს 20 გრადუსი რომ იყოს ცელსიუსით.

### ლამაზი ტანსაცმლის ფაბრიკები

სულ უფრო მეტი ლამაზი სამკერვალო და ტრიკოტაჟის ნაწარმი გამოაქვთ რუმინეთის მაღაზიებში. ამ პროდუქციის გამოშვების ზრდა შესაძლებელი გახდა უკანასკნელ ხანს მიღებულ მთელ რიგ ღონისძიებათა მეოხებით.

რუმინეთის სამკერვალო ფაბრიკები მოდერნიზებულია და აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. აგებულია და მწყობრში ჩადგა ორი ახალი დიდი საწარმო კლერაშსა და ფოკშანში. კიდევ ერთი სამკერვალო ფაბრიკა შენდება ვასლუეში.

ახალი ხუთწლიანი გეგმით (1966-1970 წწ.) გათვალისწინებულია ამუშავდეს ოთხი სატრიკოტაჟო და ოთხი სამკერვალო ფაბრიკა. მწყობრში ჩადგომის შემდეგ მათი საერთო პროდუქციის მთლიანი ღირებულება ორი მილიარდი ლეი იქნება. ახალი საწარმოები შესაძლებელს გახდიან 1970 წლისათვის ტრიკოტაჟის წარმოება მიმდინარე წელთან შედარებით გადიდებულ იქნას 157 პროცენტით, ხოლო სამკერვალო ნაწარმისა — 156 პროცენტით.

(აას-აჟერპრესი).

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ექსპორტი

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მეოთხე ადგილი უკავია მსოფლიოში მანქანების ექსპორტის მხრივ. სხვადასხვა ქვეყანაში იგზავნება კომპლექტური მოწყობილობა მეტალურგიული, ცემენტისა და შაქრის ქარხნებისათვის, პოლიგრაფიული საწარმოებისათვის, თბოელექტროსადგურებისათვის, მოწყობილობა პლასტმასისა და სინთეზური ბოჭკოს წარმოებისა და შემდგომი დამუშავებისათვის, დანადგარები და სისტემები ჰაერის კონდიცირებისათვის.

1950-დან 1965 წლამდე გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 29 სახელმწიფოში გაგზავნა 1100-ზე მეტი საწარმო და კომპლექტური დანადგარი.

რესპუბლიკის მანქანათმშენებლები ბევრს მუშაობენ, რათა მათი პროდუქცია შეესაბამებოდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ისინი ქმნიან ახალი ტიპის მანქანებს, ჩარხებსა და კომპლექტურ დანადგარებს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გათვალისწინებით.

### ძმური თანამშრომლობა

ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს უნგრეთ-ბულგარეთის ხელშეკრულებას მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. შეთანხმების თანახმად, ორივე მხარე ხელს შეუწყობს მეცნიერებათა აკადემიების, უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების თანამშრომლობას.

### მონღოლეთის ყანებში

მონღოლეთის მარცვლეულის მთელი რიგი დიდი მეურნეობების ყანებში დაიწყო პურეულის მოსავლის აღება. წელს მთელ რესპუბლიკაში გათვალისწინებულია მოიწიონ 14 მილიონი ფუთი მარცვალი. აქედან სახელმწიფო მეურნეობათა წილად მოდის 18,9 მილიონი ფუთი. თავიანთი მონღოლი მეგობრების მხარდამხარ სახელმწიფო მეურნეობათა ყანებში მუშაობს საბჭოთა მექანიზატორების დიდი ჯგუფი.

### საბჭოთა გამოფენა ფხენიანში

ფხენიანში გაიხსნა საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა. იგი მოაწყვეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა და კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ იაპონიის ბატონობისაგან კორეის განთავისუფლების 20 წლისთავის გამო და სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურული თანამშრომლობის 1965 წლის გეგმის შესაბამისად. (საკდესი).



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. 90-ზე მეტი გერმანელი მოსწავლე ჰალეს ოლქიდან ზაფხულის არდადეგებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ბერნბურგის ბანაკში ატარებს. ესენი არიან მეექვსე-მეშვიდე კლასების მოსწავლენი, სასოფლო-სამეურნეო წრეების წევრები. მეცნიერებთან საუბრებში ნორჩი ნიადაგმცოდნეები, მეცხოველეები, მებაღეები ცოდნას იმდიდრებენ არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც.

სურათზე: მიწათმოქმედებისა და მემცენარეობის ინსტიტუტის დოცენტი რუდოლფ ვაბერზიხი ესაუბრება მოსწავლეებს ნიადაგის სტრუქტურის შესახებ.

ფოტო ადნ-საკდესისა.

## აფრიკის გულში დამიზნებული პისტოლეტი

მოსკოვი, 25 აგვისტო. საკდესის მიმომხილველი ნიკოლოზ ტურკატენკო წერს:

ამ ბოლო დროს პრესაში სულ უფრო ხშირად იბეჭდება ცნობები, რომ აქტიურად ემზადებიან სამხედრო-ეკონომიური ბლოკის სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა — სამხრეთი როდეზია-პორტუგალიის შესაკოწიწებლად, რომლის მიზანია შენარჩუნებულ იქნეს კოლონიზატორთა და რასისტთა ბატონობა ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკაში. ძირითადი წანამძღვრები ასეთი ბლოკის შესაქმნელად უკვე არის. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ და სამხრეთ როდეზიამ დადეს სავაჭრო შეთანხმება. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ მისცა სამხრეთ როდეზიას სესხი. სამხრეთ როდეზიის მთავრობამ, რომელიც ფორმალურად ინგლისის კოლონიაა, ფაქტიურად უკვე დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა პორტუგალიასთან და გაგზავნა ლისაბონში თავისი ელჩი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, სამხრეთ როდეზიასა და პორტუგალიას შორის აგრეთვე ფართო სამხედრო თანამშრომლობაა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, რომელმაც ჯერ კიდევ 1960 წელს ხელი მოაწერა შეთანხმებას პორტუგალიასთან სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, სამხრეთ როდეზიას უგზავნის სასროლ და მძიმე იარაღს. ამ იარაღით, აგრეთვე უშუალოდ ინგლისიდან გამოგზავნილი იარაღითა და საბრძოლო თვითმფრინავებით აღჭურვილმა მხოლოდ თეთრკანიანებისაგან შემდგარმა სამხრეთ როდეზიის შეიარაღებული ძალების საგანგებო შერჩეულმა ქვეგანაყოფმა ზამბიის საზღვარზე დაიწყო ორი კვირის მანევრები — „ლონგ დრეგის ოპერაცია“.

ოფიციალური ვერსიის თანახმად, მანევრების მონაწილენი ამუშავებენ ტაქტიკას ბრძოლისა „ტერორისტთა ბანდების“ წინააღმდეგ, როგორც კოლონიზატორები ჩვეულებრივ უწოდებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილეებს. გარდა ამისა, არის საქმის „არაოფიციალური მხარეც“. ის ფაქტი, რომ მანევრები წარმოებს ზამბიის ახალგაზრდა სახელმწიფოს საზღვრებთან, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია კოლონიზატორთა პოზიციები, მოწმობს მისწრაფებას დააშინონ ამ ქვეყნის მთავრობა იმ მიზნით, რომ აიძულონ განახორციელოს უფრო „ლოიალური“ პოლიტიკა თეთრკანიან კოლონისტთა და ინგლის-ამერიკა-სამხრეთ აფრიკის იმ კონცერნების მიმართ, რომლებიც წურბელებივით მისევიან როდეზიის სპილენძს.

დასავლეთის პრესა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა—სამხრეთ როდეზია-პორტუგალიის სამხედრო-ეკონომიური ბლოკის შეკოწიწებისათვის მზადებას ჩვეულებრივ ხსნის მისი მზარდი იზოლაციით, სინამდვილეში, ამ ქვეყნების რეაქციულ მმართველ პოლიტიკას სულ უფრო ერთსულოვნად გმობს მსოფლიო საზოგადოებრიობა. მაგრამ არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ ძნელია დავასახელოთ ინგლისის ან ამერიკის ისეთი დიდი კონცერნი, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი ფილიალები, საწარმოები ან ბანკები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიაში, ანგოლასა და მოზამბიკში. ინტენსიურად აღწევს იქ დასავლეთგერმანული კაპიტალიც.

თუ რამდენად არიან ასეთი ქვეყნები ეკონომიურად დამოკიდებული იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე, მოვიყვანთ ასეთ ფაქტს: ოფიციალური მონაცემებით, 1964 წელს ანგოლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაზიდეს 1,5 მილიარდი ესკუდოს ნედლეული და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამერიკის შეერთებულ შტატებს მოსდევენ ჰოლანდია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და ინგლისი.

აი სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. ამ ბლოკმა არა მარტო უნდა შეინარჩუნოს და შეძლებისდაგვარად განამტკიცოს პორტუგალიის ბატონობა ანგოლაში, მოზამბიკსა და „პორტუგალიის“ გვინეაში, აგრეთვე რასისტული რეჟიმების პოზიციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სამხრეთ როდეზიაში, არამედ დაიცვას უდიდესი კონცერნების ინტერესები, რომლებსაც კოლოსალურ მოგებას აძლევს ამ ქვეყნების სიმდიდრე, აფრიკელთა მუქთი, და, როგორც წესი, იძულებითი შრომა.

სწორედ ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვა ქვეყნები უხვად ამარაგებენ პორტუგალიას იარაღით, მფარველობენ მას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. თუმცა პორტუგალია დემონსტრაციულად არ ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არცერთ რეზოლუციას თავისი აფრიკული კოლონიების შესახებ. სწორედ ამიტომ ინგლისს „არაფერი არ გასდის“ სოლსბერის მთავრობასთან, რომელიც აპირებს სამხრეთ როდეზია „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოაცხადოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მსგავსად — და დიდი ხანია გამოაცხადებდა კიდეც, რომ არ აშინებდეს კონფლიქტი აფრიკის სახელმწიფოებთან. სწორედ ამიტომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — სამხრეთ როდეზია-პორტუგალიის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის იდეას უსიტყვო თანხმობით ხვდებიან ვაშინგტონში, ლონდონში, ისე როგორც ბონში, რომელიც ამჟამად განსაკუთრებით კმაყოფილია პორტუგალიისა, რადგან იგი თავის ტერიტორიას უთმობს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მის პირველ საზღვარგარეთულ სამხედრო ბაზად. პორტუგალია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და სამხრეთ როდეზიის რასისტებიც ხომ უცხოეთის კაპიტალდაბანდებისა და იმპერიალისტური სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გაცილებით უფრო საიმედო გარანტები არიან, ვიდრე „ეს აფრიკელები“.

თუ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — სამხრეთ როდეზია, პორტუგალიის ბლოკის შექმნის იდეა განხორციელდება, იგი კოლონიზატორებისა და რასისტების ხელში შეასრულებს იმ პისტოლეტის როლს, რომელიც დამიზნებულია აფრიკის გულში. ამ პირობებში უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თვალსაჩინო აფრიკელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეების მოწოდებანი აფრიკის ხალხებისადმი — მუდამ ფხიზლად იყვნენ კოლონიზატორთა, ნეოკოლონიზატორთა და რასისტთა ხრიკების მიმართ.

# ახალი ამბები · ცნობები

## ვინ მოიგო „ვოლგა", „მოსკვიჩი", „ზაპოროჟეცი"?

### ვიდრე ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდებოდეს

ზაჩრა. (საკ. კორ.). გუშინ აქ საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მერვე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი.

გათამაშდა 11 ავტომანქანა, ასობით ძვირფასი ნივთი — პიანინო, მაცივარი, რადიომიმღებები, ტელევიზორი და სხვ.

ყველაზე მეტად მაინც ლატარიის ბილეთების მფლობელთ მსხვილი მოგებები — ავტომანქანები აინტერესებთ.

ვიდრე გაზეთებში გათამაშების ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნდებოდეს, მკითხველებს გვინდა გავაცნოთ რამდენიმე მომგებიანი ბილეთის სერია და ნომერი.

„ვოლგის" მფლობელი გახდება ის, ვისაც აქვს 18277 სერიის № 315 ბილეთი, „მოსკვიჩის" მოგებით გაიხარებენ 18799 სერიის № 206, 19027 სერიის № 341, 19031 სერიის № 434 ბილეთების მფლობელნი. 30 კაპიკად არც „ზაპოროჟეცის" მოგებაა ურიგო. იგი ხვდათ 18297 სერიის № 398, 18685 სერიის № 236 ბილეთებს.

## „ოქროს ლომის" პრიზზე

მოსკოვი, 23 აგვისტო. (საქდესის კორ.). 24 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე ვენეციაში გაიმართება მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული კინოდათვალიერება. ვენეციის „ოქროს ლომი" — ამ საერთაშორისო ფესტივალის „გრან-პრი" 1962 წელს იყო მოსკოვში. იგი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ჩამოიტანა მაშინ ჯერ კიდევ დებიუტანტმა კინორეჟისორმა ანდრია ტარკოვსკიმ, ფილმ „ივანეს ბავშვობის" დამდგმელმა.

წელს ვენეციის კინემატოგრაფიის XXVI შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა ფილმები — მარლენ ხუციევის „20 წლის ვარ" და „ერთგულება", რომლის გადაღება ამას წინათ დაამთავრა ოდესის სტუდიამ (სცენარისტი ბულატ ოკუჯავა, რეჟისორი პეტრე ტოდოროვსკი). ეს არის ლირიკულ-დრამატული ამბავი სამხედრო სასწავლებლის კურსანტის, გუშინდელი მოსწავლისა, რომლის ზნეობრივი ჩამოყალიბება ხდება ფაშიზმის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის პროცესში.

საბჭოთა კინემატოგრაფისტები კონკურსგარეშე აჩვენებენ კინოეპოპეის „ომი და მშვიდობის" ორ სერიას (დადგმა სერგი ბონდარჩუკისა).

კინემატოგრაფიის სრულიად საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი ნიკოლოზ ლებედევი მიწვეულია ვენეციაში ფესტივალის ჟიურის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

◆

## „მოსკვიჩი" — ლატარიით

კასპის რაიონის სოფელ ზემო ხანდაკის მცხოვრებმა ა. გოგიბედაშვილმა თბილისის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა რსფსრ ფულისა და ნივთების 1965 წლის მეორე გამოშვების ლატარიის 09266 სერიის № 066 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი".

## მოკლედ

☐ სამხრეთ ოსეთის მწერლებმა ლიტერატურული საღამო გამართეს ლენინგორის რაიონის წინაგრის კოლმეურნეობაში.

ოსური ლიტერატურის შესახებ კოლმეურნეებს ესაუბრა პოეტი გაფეზი. საღამოზე ლექსები წაიკითხეს პოეტებმა გიორგი ძუგაევმა, ნაფი ჯუსოითმა, გიორგი ბესთაუთმა, ხაჭიმურატ ძუწათიმ და გერსან კოდალაევმა.

ა. ნანიევა.

☐ ამ დღეებში ახმეტის რაიონის მთათუშეთის სოფლებს: ომალოს, შენაქოს და დიკლოს ესტუმრა ახმეტის კულტსახლის აგიტმხატვრული ბრიგადა, პროგრამაში იყო ქართული ხალხური და თანამედროვე სიმღერები, ცეკვები, მხატვრული კითხვა და სკეტჩები.

საინტერესო ლექციები წაიკითხეს საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ ა. მაისურაძემ და რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ფ. ნადირაშვილმა.

ე. ბექურაძე.

● ჩვენი სამშობლოს კიდით კიდემდე ●



იგარკა. საზღვაო ნავსადგურში.

ფოტო ი. ბარმინისა. (საქდესის ფოტოქრონიკა)

● ჰიპოთეზები, ვარაუდები, ძიება ●

## ოკეანეები მატერიკებს ქვეშ

სავსებით შესაძლებელია, რომ მატერიკებს ქვეშ ოკეანეები მდებარეობს. დიახ, ჩვენ სიტყვა როდი შეგვშლია — სწორედ ოკეანეები და არა მდინარეები თუ ტბები. ოღონდ იქ ხომალდები კი არ „ცურავენ", არამედ მთელი მატერიკები. მართალია, მათი სიჩქარე ძალიან მცირეა — საუკუნეში არაუმეტეს რამდენიმე სანტიმეტრისა.

ყველა ეს და ბევრი სხვა, ერთი შეხედვით არაჩვეულებრივი მტკიცებანი, როგორც გაზეთი „გორკოვსკი რაბოჩი" იუწყება, გამომდინარეობს ჰიპოთეზიდან, რომელიც წამოაყენა კუიბიშევის ნავთობის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გეოფიზიკური განყოფილების ხელმძღვანელმა გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ელანსკიმ.

აი როგორ აქვს წარმოდგენილი თანამედროვე მეცნიერებას დედამიწის სფეროს აგებულება. პლანეტის ცენტრშია მანტიით გარემოსილი მძიმე ბირთვი. მანტია — ეს მაგარი, მაგრამ ნაკლებად მძიმე ქანების სქელი ფენაა, რომლებშიც ჩართულია თხევადი წარმონაქმნები. თავის მხრივ მანტია გარემოსილია დედამიწის ქერქით, რომელიც ბაზალტისა და გრანიტ-გნეისის შრეებისაგან შედგება. ბაზალტის შრე მანტიას ეკვრის. გრანიტ-გნეისის შრე მატერიკების ფუძე — საძირკველია.

აი როგორ მიმდინარეობდა ოკეანეებისა და წყალქვეშა წყლების წარმოქმნა ელანსკის ჰიპოთეზის მიხედვით. დედამიწა თანდათან ცივდებოდა. წარმოიშობოდა მისი თანამედროვე გარსები — შრეები. ზედა მანტიაში წარმოიშობოდა მთის ქანები — პერიდოტიტები.

ხოლო მანტიაში ორმოცდაათ-სამოცდაათ კილომეტრ სიღრმეზე წყალბადისა და ჟანგბადის იონებისაგან იბადებოდა წყლის ორთქლი. შემდეგში ქანების ნარღვევებით პერიდოტიტები და ორთქლი დედამიწის ქერქში აღწევდნენ. აქ, წნევა და ტემპერატურა დაბლა რომ დაიწევდა, მინერალები წყალთან რეაქციაში ექცეოდნენ. ამის შედეგად წარმოიქმნებოდა სერპენტინიტები — ნაპრალებითა და სიცარიელებით გაჭოლვილი ქანები. ისინი ღრუბელივით გაჟღენთილი იყვნენ წყლით. „ღრუბელში" წყლის რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა მაღალი წნევის, ორთქლის ხარჯზე, რომელიც მანტიიდან შემოდიოდა. როცა სერპენტინიტები მაქსიმალურად გაჟღენთილი იყვნენ წყლით და მათი მოცულობა იზრდებოდა, ხდებოდა გრანიტ-გნეისის შრის გიგანტური გარღვევები. წარმოქმნილი ნაპრალებიდან წყალი დედამიწის ზედაპირზე ამოიღვრებოდა ხოლმე.

ასე შეიქმნა, ახალი ჰიპოთეზის მიხედვით, პირველადი, ძველი ოკეანეები. ფართობითა და მოცულობით ისინი დიდი არ იყვნენ.

დედამიწის სიღრმეებში დატყვევებული წყლის „ფათერაკები" ოკეანეთა წარმოქმნით არ დამთავრებულა. უდიდესი წნევის ქვეშ მყოფი ცხელი წყალი ხსნიდა სხვადასხვა ნივთიერებებს — მჟავეებს, ტუტეებს. თავის მხრივ, ეს „ჯოჯოხეთური ნარევი" გასჭამდა, და ხსნიდა სიღრმის ბევრ ქანს, ზოგიერთი მდგრადის გამოკლებით. შეიქმნა თავისებური რთული „წათხი".

დროთა მსვლელობაში აქედან ხდებოდა ოკეანეთა მარაგის შევსება. ამაშია იმის მიზეზი, რომ ზღვათა და ოკეანეთა წყალი მენდელეევის ცხრილის ბევრ ელემენტსა და რთულ ნივთიერებებს შეიცავს.

დრო მიდიოდა. „წათხის" ფენა წიაღში ახალ უბნებს იჭერდა და მატერიკებს ქვეშ ვრცელდებოდა ბაზალტისა და გრანიტის საზღვარზე. ამან გამოიწვია მიწისქვეშა „წყლის სქელი ფენის" — ჰიდროსფეროს წარმოქმნა ათ-თორმეტ კილომეტრ სიღრმეზე.

გრანიტის შრის ძირი, როგორც ცხრილი თუ ფილტრი, ატარებდა გაზისებრ ფრაქციებს, რომლებიც სიღრმის ჰიდროსფეროდან მაღლა მოიწევდა, იგივე „ცხრილი" აკავებდა ლითონების, ქარსისა და ასბესტის ნაწილაკებს. დროთა განმავლობაში მათგან შეიქმნა ძალიან მკვრივი და მედეგი ეკრანი. მან შეაფერხა „წათხის" მაღლა გავრცელება. მატერიკებმა ამ ეკრანით თითქოს თავი დაიცვეს გაჭმისაგან.

ახალი ჰიპოთეზის სასარგებლოდ ბევრი ფაქტი მეტყველებს. მაგალითად, ოკეანეთა ფსკერზე გრანიტ-გნეისის შრის უქონლობა და სეისმოდაზვერვის მონაცემები იმ სიღრმეებზე ნივთიერების ფიზიკური თვისებების ნახტომისებრი ცვლილების შესახებ, სადაც მიწისქვეშა ოკეანეებს ვარაუდობენ.

## უნივერსიადის დღეები

ბუდაპეშტში გრძელდება სტუდენტ სპორტსმენთა ასპარეზობა. სპორტული მაჩვენებლები მაღალია, დამყარებულია ახალი რეკორდები.

ცურვაში უნივერსიადის ჩემპიონმა ს. ბელიც-გეიმანმა კიდევ ერთი მედალი მოიპოვა, ამჯერად ვერცხლისა. 1.500 მეტრი ნებისმიერი სტილით მან გაცურა 17 წუთსა და 17,8 წამში. ჩემპიონი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი მაიკ უოლი — 17 წუთი და 9,9 წამი.

ქალთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით საბჭოთა გუნდი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ჩემპიონობა მოიპოვა უნგრეთის მცურავთა კოლექტივმა. ინგლისის გუნდი მეორე იყო.

წარმატებით იბრძვიან საბჭოთა ფრენბურთელები. მათ კიდევ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს, ვაჟებმა დაამარცხეს ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები — 3:0, 3:1, ქალებმა — რუმინეთისა და პოლონეთის გუნდები — 3:0, 3:0. სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა მოუგო უნგრეთის ნაკრებს 73:43.

გუშინ თბილისელმა ი. ერმოლოვამ ჩოგბურთში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

◆

## რსფსრ IV ზონაში

გაიმართა რსფსრ მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

„მეტალურგი" (რუსთავი) — „შრომითი რეზერვები" (კისლოვოდსკი) — 3:3, „ალაზანი" (გურჯაანი) — „უროჟაი" (მაიკოპი) — 3:3, „დინამო" (სოხუმი) — „შირაქი" (ლენინაკანი) — 2:0, „კოლხიდა" (ფოთი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) — 2:1, „ენგური" (ზუგდიდი) — „მეშახტე" (ტყიბული) — 2:0, „დინამო" (ბათუმი) — „ლორი" (კიროვაკანი) — 1:0. (საქდესი).

◆

## მაქს ეივეს ერთდროული სეანსი

24 აგვისტოს მოსკოვში დამთავრდა ნორჩ მოჭადრაკეთა საკავშირო საწვრთნელი შეკრება. მონაწილეობდნენ თხუთმეტი წლის ასაკის ოსტატობის კანდიდატები და უძლიერესი პირველთანრიგოსნები. შეკრებაზე საქართველოდან გამოდიოდა თბილისის 87-ე საშუალო სკოლის მოსწავლე პირველთანრიგოსანი ელიზბარ უბილავა.

შეკრების მონაწილეებს ეწვია სსრ კავშირში სტუმრად მყოფი ჰოლანდიელი გროსმაისტერი მაქს ეივე და გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 9 დაფაზე საათებით. გროსმაისტერმა თამაში წააგო ანგარიშით 4:5; ნორჩმა მოჭადრაკეებმა 3 პარტია მოიგეს და 4 ყაიმით დაამთავრეს. ეივესთან პაექრობაში გამარჯვება წილად ხვდათ პირველთანრიგოსნებს უბილავას (საქართველო), შერეშევსკის (ბელორუსია) და ვაგანიანს (სომხეთი).

კომუნისტი — სპორტი

## შვეიცარიელები უტევენ კავკასიონს

ერთ კვირაზე მეტია კავკასიონის მთებში არიან შვეიცარიელი ალპინისტები, რომლებიც საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ სასპორტო საზოგადოება „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მოწვევით.

24 აგვისტოს შვეიცარიელმა ალპინისტებმა ქართველი კოლეგების თანხლებით ორი მხრიდან შეუტიეს მრისხანე უშბას. ერთი ჯგუფი ავიდა უშბის ჩრდილოეთ მწვერვალზე, მეორე — სამხრეთ მწვერვალზე.

რამდენიმე დღით ადრე შვეიცარიელმა სპორტსმენებმა ქართველ მთამსვლელებთან ერთად დაიპყრეს ცენტრალური კავკასიონის ძნელად მისადგომი მწვერვალები: შუროს მწვერვალი (4.125 მეტრი) და ჩატინ-ყაუ (4.127 მეტრი). პირველ მწვერვალზე ავიდა ჯგუფი რენე დიტერის მეთაურობით, ჯგუფში იყო აგრეთვე სპორტის ოსტატი ოთარ ხაზარაძე. მეორე ჯგუფს ახლდნენ ქართველი მთამსვლელები ალიოშა გავაშელიშვილი და თამაზ ბაქანიძე.

კავკასიონის მწვერვალების დაპყრობის შემდეგ რენე დიტერმა, „ძველმა ჰიმალაელმა", განაცხადა:

— კავკასიონმა გადაგვიშალა თავისი დიდებული სილამაზე. მისი მთები ეს მცირე მასშტაბის ჰიმალაია. მძიმე იყო ზურგჩანთები, სახიფათო იყო გზა, მაგრამ სიძნელეების დაძლევაში დაგვეხმარნენ ჩვენი მეგობარი ქართველი ალპინისტები, რომლებიც დიდ მზრუნველობას იჩენდნენ. აღტაცებული ვართ მათი გამბედაობითა და ამხანაობით.

გ. ბერძენიშვილი,
საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორი. (საქდესი).

## შეხვედრა გერმანელ ხელბურთელებთან

თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებს ლაიპციგის (გდრ) ფიზკულტურის აკადემიის გუნდი ეწვია და გუშინ კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე პირველი საერთაშორისო მატჩი ჰქონდა.

ეს მეტოქეთა პირველი შეხვედრა როდი იყო. სწორედ ამ გუნდთან პაექრობაში განიცადეს 1962 წელს ჩვენმა ხელბურთელებმა დამარცხება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე.

გუშინაც წარმატება გერმანელ ხელბურთელებს ხვდათ, ამჯერად 23:22. „ბურევესტნიკის" გუნდმა ძალზე სუსტად ჩაატარა პირველი ტაიმი. მხოლოდ მეორე ნახევარში გვიჩვენეს მათ მონდომებული თამაში, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

კარზე მოგვადგა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი, პასუხსაგები მატჩები თბილისში, „ბურევესტნიკის" გუნდი კი ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ სპორტულ ფორმაში.

## სტუმრობა დამთავრდა

ხუთი დღე გაატარა საქართველოში ვიეტნამის მშრომელთა პარტიის კადრის მუშაკთა ჯგუფმა, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით. სტუმრებმა დიდი ყურადღება გამოიჩინეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისადმი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ყოფნის დროს ვიეტნამელმა ამხანაგებმა გამოკითხეს, თუ როგორ გადიან აქ პრაქტიკას სოფლის მეურნეობის მომავალი სპეციალისტები.

ვიეტნამის პარტიული მუშაკები ეწვივნენ აგრეთვე მცხეთის რაიონის ერთ-ერთ მეურნეობას.

25 აგვისტოს ვიეტნამის მშრომელთა პარტიის კადრის მუშაკთა ჯგუფი მოსკოვს გაფრინდა. (საქდესი).

## ამინდი

## როგორი იქნება სექტემბერი?

სექტემბერი შემოდგომის დასაწყისია, დღე ზაფხულთან შედარებით თითქმის ოთხი საათით კლებულობს, ღამე მატულობს. დედამიწა ნაკლებ სითბოს იღებს მზისგან.

ჩვეულებრივად ვამბობთ, რომ ივლისი სექტემბერზე თბილია. ეს კლიმატური დახასიათებაა, მაგრამ იგი ყოველთვის როდია სინამდვილესთან ახლოს. მეტეოროლოგიური პირობები მკვეთრად იცვლება წლიდან წლამდე. ზოგჯერ სექტემბერში უფრო თბილი და მშრალი ამინდებია, ვიდრე ივლისში.

წელს სექტემბერი მშრალი და თბილი ამინდებით გაახარებს საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის დასავლეთი რაიონებისა და აღმოსავლეთ ციმბირის მცხოვრებთ. უჩვეულო იქნება სექტემბერი ჩუკოტკასა და დასავლეთ ციმბირში, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში, სადაც ცივი და წვიმიანი ამინდებია მოსალოდნელი.

სამხრეთის კურორტებზე ჩვეულებრივზე უფრო ეგრილება, მოსალოდნელია ხშირი და ხანმოკლე წვიმები; შავიზღვისპირეთში ნალექები ნორმას გადააჭარბებს. შედარებით გრილ, მშრალ და უღრუბლო ამინდებს ვარაუდობენ შუა აზიაში, ყაზახეთში.

საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე სექტემბრის პირველ დეკადაში აცივებას მოელიან ღამით თითქმის ყველგან ყინვები იქნება. მეორე დეკადაში უპირატესად უღრუბლო და მშრალი ამინდი იქნება. დღისით 20-25 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი.

მესამე დეკადაში კვლავ აცივდება. სიცივე სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადაიწევს. აქ იწვიმებს. ალაგ-ალაგ თოვლჭყაპიც წამოვა და თითქმის ყველგან ყინვები იქნება. მკვეთრად დაეცემა ტემპერატურა ყირიმსა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ყაზახეთის ჩრდილოეთში ყინვები სექტემბრის პირველ და მესამე დეკადაშია მოსალოდნელი. ბუნებრივია, თვის ბოლოს უფრო ეცივება. ტემპერატურა დაეცემა ღამით ხუთ გრადუსამდე. დასავლეთ ციმბირში უფრო ხშირად ცივი ამინდები და თოვლჭყაპი იქნება.

ნ. გულინსკაია.



## კალინინგრადის კორტებზე

კალინინგრადის კორტებზე გრძელდება ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

პირველ დღეს მოსკოვის ძლიერ გუნდს პაექრობა ჰქონდა სომხეთის ჩოგბურთელებთან. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება მოსკოველებს ხვდათ. უკრაინელებმა დაამარცხეს ყირგიზეთის გუნდი. საქართველოსა და ყაზახეთის, აგრეთვე ბელორუსია-ლატვიის გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს საქართველოსა და ბელორუსიის ჩოგბურთელებმა.

გუშინ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ესენი არიან რსფსრ, უკრაინის, მოსკოვისა და ესტონეთის გუნდები.

## მასპინძლობს მესტია

### ტურისტული ბაზის 5.500 სტუმარი

თვალმიუწვდომი მწვერვალები, მწვანეში ჩაფლული მთები, გიჟმაჟი მდინარეები და ჩანჩქერები — აი რა იზიდავს მრავალრიცხოვან ტურისტებს ამ მხარეში. ამიტომ არის, რომ აქ, მესტიის ტურბაზაში ერთდება ბევრი ტურისტული ბილიკი.

ვის არ შეხვდებით თქვენ აქ — მოდიან ლენინგრადელი ინჟინრები, დონბასელი მეშახტეები, ცელინოგრადელი ტრაქტორისტები თუ ნოვოსიბირსკელი სტუდენტები. არცთუ იშვიათი არიან სტუმრები უცხოეთის ქვეყნებიდან.

მოდიან და სანახაობით ტკბებიან, მუხლს იმაგრებენ და ენერგიას აღიდგენენ.

ტურისტების კარგი მასპინძელია მესტიის ტურბაზა. დაღლილ მოგზაურებს აქ მყუდროება და დასვენება ელით.

— წელს, — თქვა ტურბაზის დირექტორმა ნიკოლოზ შერვაშიძემ, — პირველი ნაკადი 22 ივნისს მივიღეთ, ახლა კი ყოველდღიურად 60 კაცი მოდის. ისინი ჩვენთან სამ დღეს რჩებიან, ხოლო შემდეგ შავიზღვისპირეთისაკენ გასწევენ.

ტურბაზას უკვე 5.500-მდე კაცი ჰყავს მიღებული. მათთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი.

შთაბეჭდილებათა წიგნში წავიკითხეთ ლენინგრადელი ინჟინრის სვეტლანა პშიკინას ჩანაწერი: — „აქ არა მარტო ლამაზმა ბუნებამ მოგვხიბლა, არამედ ტურბაზაში კეთილმა მიღებამ და ქართულმა სტუმართმოყვარეობამაც. ყველაფერი მართლაც ჩინებული იყო".

ასეთი ჩანაწერი აქ მრავალია.

ე. ჩიქავა.

* * *

სურათზე: ტურისტები ლაშქრობაზე.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## თოფი სათამაშო როდია

მთელი ღამე თოვდა. დილით ნაცრისფერი ლეგა ღრუბლები ქარმა მიმოფანტა და ლურჯი ციდან ზამთრის მზემ გამოიხედა. კვირადღე იყო, ჩუმი, წყნარი... უეცრად სერს იქით თოფის ხმა და კივილი გაისმა. ეტყობოდა რაღაც საშინელი მოხდა. ყველა, დიდი და პატარა, იქით გაიქცა... სერის კალთაზე ეგდო თოფისაგან განგმირული ბავშვი, ზესტაფონის რკინიგზის საშუალო სკოლის VI კლასის წარჩინებული მოსწავლე სერგი ჩოჩია...

რა იყო, რა მოხდა?

1965 წლის 14 მარტს, ზესტაფონში ქურდან ბაბუაძემ, 16 წლის ბიჭმა, მოიწადინა სანადიროდ წასვლა, მაგრამ როგორ? თოფი რომ არ ჰქონდა? მერე რა! თოფი იქვე ახლოს მცხოვრებ მეზობელს ბექან ასათიანს ხომ ჰქონდა! ბიჭი მივიდა იქ და მის დაძახილზე ბ. ასათიანის მეუღლემ, ანამ გამოხედა.

— დეიდა ანა, მამაჩემმა შემოგითვალა, თოფი მათხოვეო...

ანა არც დაფიქრებულა, კედელზე ჩამოკიდებულ ცალლულიან თოფს დაავლო ხელი და ამ ხნის ქალმა დაუფიქრებლად, წინდაუხედავად, ბიჭს გადასცა. ბიჭის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... თოფი კი იშოვნა, მაგრამ მასრები? ჰო, არც ეს იყო ძნელი საშოვნი, მიირბინა სახლში, აიღო მამისეული ორი მასრა და სანადიროდ წავიდა. თან თავისი უმცროსი ძმა ამირან ბაბუაძე გაიყოლა.

„სანადიროდ" მიმავალთ სერგი ჩოჩია შემოხვდათ.

— რა კარგ დროს შეგხვდით... წამო ჩვენთან, შაშვები მოვკლათ...

სერგის არც უნდოდა წასვლა. მაგრამ ბავშვურმა გატაცებამ მაინც სძლია, გაჰყვა ძმებს. მათ შემოუერთდა მოსწავლე მერაბ ჯანიაშვილი, მასაც მამისეული თოფი წამოეღო.

თავზე გადაუქროლათ ჩიტების გუნდმა. ქურდანმა თოფი ჩახმახზე შეაყენა... უნდოდა სროლა, მაგრამ გადაიფიქრა, ასე ჩახმახშემართული თოფით გაუყვა დათოვლილ ბილიკს... იქვე, მის წინ მიდიოდა სერგი ჩოჩია... მოულოდნელად ქ. ბაბუაძეს ფეხი დაუსხლტა, და თოფმა დაიგრიალა. ვაი დედაო, მხოლოდ ამის თქმა მოასწრო სერგი ჩოჩიამ და თოფის კვამლში გახვეული ბიჭუნა წუთისოფელს გამოესალმა.

* * *

ამ დღეებში ზესტაფონის სახალხო სასამართლომ გ. სამხარაძის თავმჯდომარეობითა და პროკურორის თანაშემწის ა. ჩიჩუას მონაწილეობით განიხილა აღნიშნული საქმე. პასუხისგებაში მიცემული იყვნენ ერთი ოჯახის წევრები, თოფის პატრონი ბექან ასათიანი, მისი მეუღლე ანა ასათიანი, ს. ჩოჩიას უნებლიე მკვლელი ქურდან ბაბუაძე.

სახალხო სასამართლომ სამართალში მიცემულთ სასჯელის სხვადასხვა ზომა შეუფარდა.

აქ შეიძლებოდა თხრობისათვის წერტილი დაგვესვა, მაგრამ ზესტაფონში მომხდარი ეს უბედური შემთხვევა ერთადერთი და გამონაკლისი არ არის. ასეთი რამ სამწუხაროდ, სხვაგანაც ხდება. ყური იმდენად შევაჩვიეთ უბედური შემთხვევის მოსმენას, რომ ზოგჯერ არც გვიკვირს, როცა გავიგებთ ბავშვმა შემთხვევით თოფი ესროლა დას, ძმას, მამას, დედას, მეზობელსო. რატომ? რა არის ამ უბედურების მიზეზი?

მიზეზი ის არის, რომ მონადირეთა ამხანაგობაში შეუმოწმებელ, არასერიოზულ პირებს იღებენ. მთავარია შეიძინო თოფი და წიგნაკი, იყიდო ვაზნები, და უკვე მონადირე დაგერქმევა. სამწუხაროა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ასეთ მონადირეთა მთელი არმიაა. სოფელში და ქალაქში თითქმის ყოველ მესამე პირს აქვს თოფი.

— ეს შემთხვევითი მონადირეები თოფსა და ვაზნებს დაკეტილში არ ინახავენ, იარაღს კედელზე ჩამოკიდებულ ტოვებენ.

ნადირობა კარგი სპორტია. მაგრამ მონადირე რომ გახდე, უწინარეს ყოვლისა უნდა იცოდე იარაღის ხმარება და მისი მოვლა. ვინც ეს არ იცის, მას იარაღი არც უნდა ვანდოთ, თუ გვინდა, რომ ხიფათს არ გადავეყაროთ.

ა. ფოცხვერაშვილი.

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1965 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

**წარმოებისაგან მოწყვეტით:** გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული მექანიკა, ბირთვული და კოსმოსური სხივების ფიზიკა, ბიოფიზიკა, ბიოქიმია, ბოტანიკა, მიკრო-ბიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, პარაზიტოლოგია, სკკპ ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, მრეწველობის ეკონომიკა, მათემატიკური მეთოდები ეკონომიურ გამოკვლევებში, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფრანგული ენა, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფია, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია.

**წარმოებისაგან მოუწყვეტლივ:** მათემატიკური ანალიზი, ალგებრა და რიცხვთა თეორია, გეომეტრია და ტოპოლოგია, გამოთვლითი მათემატიკა, ასტრონომია, თეორიული ფიზიკა, რადიოფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, მყარი სხეულის ფიზიკა, დაბალი ტემპერატურის ფიზიკა, ბირთვული ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია, ციტოლოგია, პეტროგრაფია, სკკპ ისტორია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, ძველი მსოფლიოს ისტორია, ეთნოგრაფია, შრომის ეკონომიკა, აღრიცხვის და გამოთვლით სამუშაოთა მექანიზაცია, საბუღალტრო აღრიცხვა, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ფილოსოფიის ისტორია, მარქსისტულ-ლენინური ეთიკა, ქართული ლიტერატურა, აზიის ხალხთა ლიტერატურა, რუსული ენა, ძველი ქართული ენა, ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, სახელმწიფო სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი, სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი.

**ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან** სსრ კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო **წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

უშუალოდ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტები ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელთა საბჭოების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლეს სასწავლებელთა სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულ პირებს სამუშაო ადგილზე ეძლევათ დამატებითი შვებულება 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით, ხელფასის შენარჩუნებით.

**განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ** შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, 2) ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი, 3) ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, 4) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, 5) მოწმობა ფორმა № 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, 6) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა შესახებ და დასკვნები მათზე.

იმ პირებმა, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი.)

**განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 ოქტომბრამდე.**

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილში. **მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 1.**

## ნუ ვცდებით, ნუ მოვისმენთ

### რადიო

**26 აგვისტო**

**პირველი პროგრამით**

10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 10.45 — ვ. მურადელის სიმღერები, 11.15 — ნაწყვეტები ვაგნერის ოპერებიდან, 12.30 — საუბარი: „რელიგიის დოგმატიკოსები და თანამედროვეობა", 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 13.10 — საოპერეტო მუსიკა, 13.40 — ბელორუსული სიმღერები, 15.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები (მოსკოვი), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ჩაიკოვსკის ბალეტის „მაკნატუნას" რადიომონტაჟი, 18.10 — „მღერის იოვანა", 18.45 — ლიადოვის სიმფონიური სურათი „ჯადოსნური ტბა", მუსორგსკის სკერცო სიმფონიური ორკესტრისათვის, 19.30 — ნაამბობი — „წინამძღოლი", 19.45 — ქართული მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 20.15 — ნაწყვეტები დ. თორაძის ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი", 20.30 — „თეატრი მიკროფონთან" — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ფიროსმანი", 22.05 — მოსკოვის კამერული ორკესტრის კონცერტი. ხელმძღვანელი ბარშაი, 23.30 — საესტრადო მუსიკის კონცერტი.

### ტელევიზია

**26 აგვისტო**

17.55 — გადაცემათა პროგრამა 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი", 18.30 — ოქტომბრელთათვის „მზე შინა და მზე გარეთა", 18.50 — კინონარკვევი, 19.10 — სატელევიზიო ოპერა „გამზრდელი", 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — საესტრადო-სატელევიზიო მიმოხილვა „სალაღობო", 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „ზაირიკი", 22.25 — გადაცემათა პროგრამა 27 აგვისტოსათვის, 22.30 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები — 9-93-02, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-15-63 წერილების — 9-73-24, ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 9-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 11976 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.